წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №11
2019 წლის 31 მაისი

ქ. წალენჯიხა

„წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის ,,დ.ა“ ქვეპუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

შეტანილ იქნეს ცვლილება ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 28 დეკემბრის №43 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2018, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.104.016395) და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტი

თავი I

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მაჩვენებლები

მუხლი 1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	11,182.6	12,721.1	14,322.8	5,881.1	8,441.7
გადასახადები	3,021.2	2,150.0	8,091.7	0.0	8,091.7
გრანტები	7,819.1	10,121.1	5,881.1	5,881.1	0.0
სხვა შემოსავლები	342.3	450.0	350.0	0.0	350.0
ხარჯები	7,676.0	8,048.3	9,871.5	1,814.6	8,056.9
შრომის ანაზღაურება	1,616.8	1,962.0	2,622.9	632.9	1,990.0
საქონელი და მომსახურება	832.7	1,138.8	1,723.7	826.5	897.2

პროცენტი	114.7	194.1	130.9	0.0	130.9
სუბსიდიები	3,671.5	3,456.5	4,210.0	83.0	4,127.0
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	731.9	581.0	728.0	52.2	675.8
სხვა ხარჯები	708.4	715.9	456.0	220.0	236.0
საოპერაციო სალდო	3,506.7	4,672.8	4,451.3	4,066.5	384.8
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,729.1	5,558.8	6,601.1	6,183.6	417.5
ზრდა	2,788.4	5,658.8	6,751.1	6,183.6	567.5
კლება	59.3	100.0	150.0	0.0	150.0
მთლიანი სალდო	777.6	-886.0	-2,149.7	-2,117.0	-32.7
ფინანსური აქტივების ცვლილება	629.0	-1,131.1	-2,279.8	-2,117.0	-162.8
ზრდა	1,084.3	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	1,084.3	0.0	0.0		
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სესხები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	455.3	1,131.1	2,279.8	2,117.0	162.8
ვალუტა და დეპოზიტები	305.3	1,131.1	2,279.8	2,117.0	162.8
ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

სესხები	150.0	0.0	0.0	0.0	0.0
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სხვა დებიტორული დავალიანებები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალდებულებების ცვლილება	-148.6	-245.1	-130.1	0.0	-130.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
კლება	148.6	245.1	130.1	0.0	130.1
საგარეო	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საშინაო	148.6	245.1	130.1	0.0	130.1
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსულობები	**11,392.0**	**12,821.1**	**14,472.8**	**5,881.1**	**8,591.7**
შემოსავლები	11,182.6	12,721.1	**14,322.8**	**5,881.1**	**8,441.7**
არაფინანსური აქტივების კლება	59.3	100.0	**150.0**	**0.0**	**150.0**
ფინანსური აქტივების კლება	150.0	0.0	**0.0**	**0.0**	**0.0**
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	**0.0**	**0.0**	**0.0**

გადასახდელები	**10,613.0**	**13,952.2**	**16,752.6**	**7,998.1**	**8,754.5**
ხარჯები	7,676.0	8,048.3	**9,871.5**	**1,814.6**	**8,056.9**
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,788.4	5,658.8	**6,751.1**	**6,183.6**	**567.5**
ვალდებულებების კლება	148.6	245.1	130.1	0.0	130.1
ნაშთის ცვლილება	779.0	-1,131.1	**-2,279.8**	**-2,117.0**	**-162.8**

თავი II

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

მუხლი 3. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები **14,322.8** ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	**2017 წლის ფაქტი**	**2018 წლის გეგმა**	**2019 წლის გეგმა**		
			სულ	**მათ შორის**	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**საკუთარი შემოსავლები**
შემოსავლები	**11,182.6**	**12,721.1**	**14,322.8**	**5,881.1**	**8,441.7**
გადასახადები	3,021.2	2,150.0	**8,091.7**	**0.0**	**8,091.7**
გრანტები	7,819.1	10,121.1	**5,881.1**	**5,881.1**	**0.0**
სხვა შემოსავლები	342.3	450.0	**350.0**	**0.0**	**350.0**

მუხლი 4. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 8,091.7 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	**2017 წლის ფაქტი**	**2018 წლის გეგმა**	**2019 წლის გეგმა**		
			სულ	**მათ შორის**	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**საკუთარი შემოსავლები**
გადასახადები	3,021.2	2,150.0	8,091.7	0.0	8,091.7
საშემოსავლო გადასახადი	1,740.0	270.0	0.0		
ქონების გადასახადი	1,281.2	1,880.0	2,100.0	0.0	2,100.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1,061.8	1,630.0	1,900.0	0.0	1,900.0

უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	0.0	0.0	0.0		
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	2.7	0.0	0.0	0.0	0.0
ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქონებაზე	2.6	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოში რეგისტრირებულ მსუბუქ ავტომობილებზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოში რეგისტრირებულ იახტებზე (კატარღებზე)	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოში რეგისტრირებულ თვითმფრინავებზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
საქართველოში რეგისტრირებულ შეულმფრენებზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	64.7	140.0	100.0	0.0	100.0
ფიზიკური პირებიდან	29.6	50.0	50.0	0.0	50.0
იურიდიული პირებიდან	35.1	90.0	50.0	0.0	50.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	152.2	110.0	100.0	0.0	100.0
ფიზიკური პირებიდან	19.2	50.0	50.0	0.0	50.0
იურიდიული პირებიდან	133.0	60.0	50.0	0.0	50.0
სხვა გადასახადები ქონებაზე	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახადები საქონელსა და მომსახურებაზე	0.0	0.0	5,991.7	0.0	5,991.7
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 5,881.1 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გრანტები	**7,819.1**	**10,121.1**	**5,881.1**	**5,881.1**	**0.0**
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები	**0.0**	**0.0**	**0.0**		

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	0.0	0.0	0.0		
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	7,819.1	10,121.1	5,881.1	5,881.1	0.0
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	3,929.3	5,422.3	1,507.4	1,507.4	0.0
გათანაბრებითი ტრანსფერი	3,531.7	5,011.7	0.0		
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	178.0	178.0	1,507.4	1,507.4	0.0
ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის და სხვა მიმდინარე ღონისძიებების დასაფინანსებლად	219.6	0.0	0.0		
სპეციალური ტრანსფერი	0.0	232.6	0.0		
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	3,889.8	4,698.8	4,373.7	4,373.7	0.0
სულ რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	2,353.8	3,803.8	3,729.7	3,729.7	
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	0.0	0.0	644.0	644.0	
პრეზიდენტის სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0		
მთავრობის სარეზერვო ფონდი	0.0	0.0	0.0		
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ფონდი	1,536.0	895.0	0.0		

მუხლი 6. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 350.0 ათასი ლარის ოდენობით.

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის პროექტი		
			სულ	მათ შორის	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	342.3	450.0	350.0	0.0	350.0
შემოსავლები საკუთრებიდან	129.8	173.0	150.0	0.0	150.0

პროცენტები	10.4	50.0	50.0	0.0	50.0
რენტა	**119.5**	**123.0**	**100.0**	**0.0**	**100.0**
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	107.0	110.0	90.0	0.0	90.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	12.5	13.0	10.0	0.0	10.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	**69.4**	**100.0**	**50.0**	**0.0**	**50.0**
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	**37.3**	**60.0**	**50.0**	**0.0**	**50.0**
სანებართვო მოსაკრებელი	3.0	20.0	10.0	0.0	10.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	34.3	40.0	40.0	0.0	40.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	**32.1**	**40.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	32.1	40.0	0.0	0.0	0.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	**122.1**	**177.0**	**150.0**	**0.0**	**150.0**
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	**20.9**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**

თავი III

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები, არაფინანსური აქტივები და მათი ფუნქციონალური კლასიფიკაცია

მუხლი 7. წალენჯიხის მუნიციპლიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 9871.5 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	**2017 წლის ფაქტი**	**2018 წლის გეგმა**	**2019 წლის გეგმა**		
			სულ	**მათ შორის**	
				სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	**საკუთარი შემოსავლები**
ხარჯები	**7,676.0**	**8,048.3**	**9,871.5**	**1,814.6**	**8,056.9**
შრომის ანაზღაურება	1,616.8	1,962.0	**2,622.9**	**632.9**	**1,990.0**
საქონელი და მომსახურება	832.7	1,138.8	**1,723.7**	**826.5**	**897.2**
პროცენტი	114.7	194.1	**130.9**	**0.0**	**130.9**

სუბსიდიები	3,671.5	3,456.5	**4,210.0**	**83.0**	**4,127.0**
გრანტები	0.0	0.0	**0.0**	**0.0**	**0.0**
სოციალური უზრუნველყოფა	731.9	581.0	**728.0**	**52.2**	**675.8**
სხვა ხარჯები	708.4	715.9	**456.0**	**220.0**	**236.0**

მუხლი 8. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება **6,601.1** ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს წალენჯიხის მუნიცპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა **6,751.1** ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
01 00	**წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება**	**104.3**	**40.6**	**30.0**	**0.0**	**30.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	104.3	40.6	30.0	0.0	30.0
02 02	**ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა**	**1.1**	**0.0**	**3.0**	**0.0**	**3.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	0.0	3.0	0.0	3.0
03 00	**ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია**	**2,156.3**	**4,088.0**	**5,332.2**	**4,797.7**	**534.5**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,156.3	4,088.0	**5,332.2**	**4,797.7**	**534.5**
04 00	**განათლება**	**279.4**	**1,070.1**	**1,089.1**	**1,089.1**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	279.4	1,070.1	1,089.1	1,089.1	0.0
05 00	**კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები**	**245.9**	**460.0**	**296.8**	**296.8**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	245.9	460.0	296.8	296.8	0.0
06 00	**მოსახლეობის ჯანმრთელობისა დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა**	**1.4**	**0.0**	**0.0**	**0.0**	**0.0**
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.4	0.0	0.0	0.0	0.0

ბ) განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 150.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	**59.3**	**100.0**	**150.0**
ძირითადი აქტივები	**11.1**	**80.0**	**150.0**
მატერიალური მარაგები	**0.0**	**0.0**	**0.0**
ფასეულობები	**0.0**	**0.0**	**0.0**
არაწარმოებული აქტივები	**48.2**	**20.0**	**0.0**
მიწა	48.2	20.0	0.0

მუხლი 9. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2018 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
701	**საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება**	**2,324.5**	**3,273.9**	**3,008.3**	**0.1**	**3,008.2**
7011	**აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები**	**2,257.0**	**3,108.1**	**3,008.3**	**0.1**	**3,008.2**
70111	**აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა**	**2,257.0**	**2,678.9**	**2,716.3**	**0.1**	**2,716.2**
70112	**ფინანსური და ფისკალური საქმიანობა**	**0.0**	**429.2**	**292.0**	**0.0**	**292.0**
7013	**საერთო დანიშნულების მომსახურება**	**67.5**	**165.8**	**0.0**	**0.0**	**0.0**
70133	**საერთო დანიშნულების სხვა მომსახურება**	**67.5**	**165.8**	**0.0**	**0.0**	**0.0**
702	**თავდაცვა**	**96.0**	**100.6**	**105.0**	**100.0**	**5.0**
704	**ეკონომიკური საქმიანობა**	**2,673.4**	**3,984.5**	**5,923.7**	**5,359.2**	**564.5**

7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	79.5	6.1	944.0	644.0	300.0
70421	სოფლის მეურნეობა	79.5	6.1	944.0	644.0	300.0
7045	ტრანსპორტი	1,743.3	1,938.5	3,520.9	3,500.9	20.0
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	1,743.3	1,938.5	3,520.9	3,500.9	20.0
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკურ საქმიანობაში	850.6	2,040.0	1,458.8	1,214.3	244.5
705	გარემოს დაცვა	949.6	920.0	1,090.0	0.0	1,090.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	949.6	920.0	1,090.0	0.0	1,090.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	552.7	965.5	502.4	213.4	289.0
7061	ბინათმშენებლობა	16.9	102.4	28.8	28.8	0.0
7063	წყალმომარაგება	349.3	354.2	199.2	179.2	20.0
7064	გარე განათება	186.5	508.9	274.4	5.4	269.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	366.7	265.0	341.0	83.0	258.0
7072	ამბულატორიული მომსახურება	366.7	265.0	341.0	83.0	258.0
70721	ზოგადი პროფილის ამბულატორიული მომსახურება	366.7	265.0	341.0	83.0	258.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,168.3	1,410.0	1,406.8	296.8	1,110.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	389.0	395.0	510.0	0.0	510.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	519.3	525.0	550.0	0.0	550.0
7084	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	260.0	490.0	346.8	296.8	50.0
709	განათლება	1,566.2	2,383.2	3,583.5	1,893.5	1,690.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	1,536.8	2,353.2	3,543.5	1,893.5	1,650.0
7092	ზოგადი განათლება	29.4	30.0	40.0	0.0	40.0
70923	საშუალო ზოგადი განათლება	29.4	30.0	40.0	0.0	40.0
710	სოციალური დაცვა	649.0	649.4	802.0	52.2	749.8
7104	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	212.6	285.0	451.2	52.2	399.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	280.5	298.0	270.0	0.0	270.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	155.9	66.4	80.8	0.0	80.8

	სულ	10,346.5	13,952.2	16,762.6	7,998.1	8,764.5

თავი IV

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო, ფინანსური აქტივებისა

და ვალდებულებების ცვლილება

მუხლი 10. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 2149.7 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 11. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 0 ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 0 ლარის ოდენობით.

3. განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 12. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

1. განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება -130.1 ათასი ლარის ოდენობით.

2. განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ზრდა 0 ათასი ლარის ოდენობით.

3. განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების კლება 130.1 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა
ვალდებულებების კლება	148.6	245.1	130.1
საშინაო	148.6	245.1	130.1
სესხები	89.8	245.1	130.1
სხვა კრედიტორული დავალიანებები	58.7	0.0	0.0

4. განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალის საპროგნოზო მოცულობა 2019 წლის ბოლოსთვის 262.0 ათასი ლარის ოდენობით:

	კრედიტორი	საპროგნოზო ნაშთი 31.12.2019
სულ მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალის ზღვრული მოცულობა		262.0
1	მუნიციპალური განვითარების ფონდი	262.0

მუხლი 13. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაუთვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით შეიქმნას სარეზერვო ფონდი და განისაზღვროს 30.0 ათასი ლარის ოდენობით.

თავი V

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები 2019-2022 წლებისთვის, პროგრამები/ქვეპროგრამები

მუხლი 14. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები

1. წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლება

პრიორიტეტის მიზანია წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების გამართული და ეფექტური მუშაობა. პრიორიტეტი მოიცავს ისეთ პროგრამებს და ქვეპროგრამებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორიცაა მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს, აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: თანამდებობრივი სარგო, ჯილდო, დანამატი და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, ვალების დაფარვის ხარჯებს. მმართველობითი სფეროს რეფორმა ერთ ერთი მთავარი ფაქტორია მუნიციპალიტეტის საქმიანობის ეფექტურად წარმართვისათვის. ასევე იგეგმება გარკვეული რეფორმები სტრუქტურული ცვლილებების, ახალი დებულებებისა და სამუშაოთა აღწერილობის შექმნის, მუნიციპალიტეტის ფუნქციონირებისას მოსახლეობის ჩართულობის გარანტირების, საბიუჯეტო პროცესისა და ქონების მართვის სისტემის გაუმჯობესების მიმართულებით.

ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ა.ა) მუნიციპალიტეტის ეფექტიანი, ოპერატიული მართვა;

ა.ბ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის მმართველობითი საქმიანობის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;

ა.გ) მერიის სამსახურების კოორდინირებული საქმიანობა;

ა.დ) საკრებულოს ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელება;

ა.ე) მოტივირებული პერსონალი.

ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ბ.ა) თვითმმართველობის მიერ განხორციელებული პროექტებით მოსახლეობის კმაყოფილება;

ბ.ბ) თვითმმართველობის მიერ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული აქტივობების შედეგების

რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები;

ბ.გ) თვითმმართველობაში დასაქმებული ადამიანების კვალიფიკაციის შეფასების მაჩვენებლები;

ბ.დ) კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით გადამზადებული პერსონალის რაოდენობა.

2. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ხელშეწყობის მიზნით

განხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების დაფინანსება.

ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ა.ა) საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის განახლების ხელშეწყობა.

ბ) შედეგის შეფასების ინდიკატორი:

ბ.ა) შეიარაღებულ ძალებში მუნიციპალიტეტიდან ჩარიცხულ წვევამდელთა რაოდენობა.

3. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და გაუმჯობესება პირდაპირ კავშირშია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის კეთილდღეობასთან. ინფრასტრუქტურის მოწესრიგება (როგორიცაა გზების, გარე განათების, წყლის სისტემების და სხვა) ხელს უწყობს მუნიციპალიტეტში ინვესტიციების მოზიდვას, რაც ტურიზმის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობისა და სახვა დარგების განვითარების წინა პირობაა.

აღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: მუნიციპალური გზების და ხიდ-ბოგირების, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლების, გარე განათების ქსელის, სკვერების, პარკების, გამწვანების ობიექტების, სანიაღვრე არხებისა და კოლექტორების რეაბილიტაცია, ჩატარდება ნაპირსამაგრი სამუშაოები, დაფინანსდება კეთილმოწყობის და დასუფთავების სამუშაოები.

ა) გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

ქვეპროგრამის აღწერილობა:

ქვეპროგრამის მიზანია საკომუნიკაციო საშუალებების, კერძოდ, გზების და ხიდების რეაბილიტაცია, მოვლა-შენახვა და განვითარება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ადგილობრივი საავტომობილო გზებისა და საგზაო კომუნიკაციების, ხიდების, მასში ინტეგრირებული სხვა ხელოვნური ნაგებობების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა. საგზაო ინფრასტრუქტურის დაზიანებული მონაკვეთების შეკეთება.

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის შიდა გზების მშენებლობა, გზების არსებული საფარის მიმდინარე და კაპიტალური აღდგენის სამუშაოები. მათ შორის: გზების მიმდინარე (ორმული) შეკეთება, არაასფალტირებული გზების ხრეშოვანი საფარის რეაბილიტაცია.

ა.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ა.ა.ა) გაუმჯობესებული საგზაო ინფრასტრუქტურა, მეტი რეაბილიტირებული გზა; - მგზავრთა შეუფერხებელი, მოხერხებული და უსაფრთხო გადაადგილება.

ა.ა.ბ) მგზავრთა შეუფერხებელი, კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილება;

ა.ა.გ) კომერციული, კულტურული, სპორტული, ტურისტული დანიშნულების ობიექტებთან დაკავშირების და კომუნიკაციის დამყარების შესაძლებლობის გაუმჯობესება.

ა.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ა.ბ.ა) რეაბილიტირებული და ახალი ასფალტო-ბეტონის საფარიანი გზების მშენებლობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებელი;

ა.ბ.ბ) ავარიული ხიდების შეკეთების და ახალი ხიდების მშენებლობის რაოდენობრივი მაჩვენებელი;

ა.ბ.გ) მოსახლეობის კმაყოფილება.

ბ) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის მიზანია კომუნალური მეურნეობის ფუნქციონირების ეფექტიანობის ამაღლება, ერთიანი ენერგოეფექტური გარე განათების სისტემის ჩამოყალიბება, მუნიციპალური სერვისების განვითარება. პროგრამის ფარგლებში გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებულის სანათების თანამედროვე ეფექტური და ეკონომსანათებით ჩანაცვლება, ქსელების რეაბილიტაცია. განხორციელდება ქალაქისა და სოფლის ადმინისტრაციულ ერთეულებში უწყვეტი ციკლით დასუფთავება, მყარი ნარჩენების შეგროვება და გატანა, კეთილმოწყობა და გამწვანება. გატარდება შესაბამისი ღონისძიებები, მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების მოვლა-პატრონობის, ფასადების და სახურავების შეკეთება-რემონტის სამუშაოების ჩასატარებლად. ამავე პროგრამით განხორციელდება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობა.

ბ.ა) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ბ.ა.ა) მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება;

ბ.ა.ბ) კეთილმოწყობილი და განათებული ქალაქი;

ბ.ა.გ) ქალაქის დასუფთავებული ქუჩები, პარკები და სკვერები.

ბ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

ბ.ბ.ა)ქალაქის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული იერსახე;

ბ.ბ.ბ) მეტი რეაბილიტირებული, სუფთა და კოხტა შენობა-ნაგებობა;

ბ.ბ.გ)მეტი განათებული და კეთილმოწყობილი ქუჩა, სკვრი, პარკი და მოედანი.

გ) საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 02 01)

ქვეპროგრამის აღწერილობა

ქვეპროგრამის მიზანია ქ. წალენჯიხასა და ქ. ჯვარში არსებული მრავალსართულიანი კორპუსების გადახურვების რეაბილიტაცია, ფასადების შეღებვა, ასევე, მუნიციპალიტეტის თემებში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობების რეაბილიტაცია და ტერიტორიების კეთილმოწყობა.

გ.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

გ.ა.ა)ქალაქებისა და თემების გაუმჯობესებული იერსახე;

გ.ა.ბ)სტიქიური მოვლენებისგან მეტად დაცული საცხოვრებელი გარემო;

გ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გ.ბა) რეაბილიტირებული საცხოვრებელი კორპუსების რაოდენობა;

გ.ბ.ბ) მოსახლეობის კმაყოფილება.

დ) გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება და მოეწყობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ გზებზე, პარკებში, სკვერებში, მოედნებსა და შიდა ეზოებში გარე განათების ახალი ქსელები. განხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიის გარე განათების ქსელის მოწყობა, მოვლა, ექსპლუატაცია, განათების არსებული ნათურების ჩანაცვლება ეკონომიური დიოდური ნათურებით.

დ.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

დ.ა.ა) ფეხით მოსიარულეთა და ტრანსპორტის უსაფრთხო და კომფორტული გადაადგილება.

დ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

დ..ბ.ა) წინა წელთან შედარებით დამატებით განათებული ქუჩებისა და უბნების რაოდენობა;

დ..ბ.ბ) ღამის საათებში კრიმინალური ფაქტების შემცირების მაჩვენებელი.

ე) დასუფთავების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქნილი ნარჩენების მართვა, ტერიტორიის მყარი ნარჩენებისგან გაწმენდა, მუნიციპალიტეტის ქვემდებარე ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრალური ადგილების, ტროტუარების, სკვერების, გაზონების, საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილების დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების აკრეფა-შეგროვება, უწყვეტი რეჟიმით იწარმოებს მყარი ნარჩენების გატანა კომერციული სტრუქტურებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებიდან.

მომსახურეობის სერვისის გაუმჯობესების მიზნით შეძენილი იქნება საჭირო სპეცტექნიკა, გატარდება საჭირო ღონისძიებები მუშათა შრომის პირობების ეტაპობრივად გაუმჯობესებისათვის.

ე.ა) ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“ (პროგრამული კოდი 03 02 03 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.წალენჯიხის, ზღვაიას დასახლების, ეწერის, ჯგალის, ნაკიფუს, მიქავას, ობუჯის თემების ცენტრალურ ადგილებში წარმოქნილი ნარჩენების მართვა, ტერიტორიის მყარი ნარჩენებისგან გაწმენდა და გატანა ქ. ზუგდიდში არსებულ ნაგავსაყრელზე; ქ. წალენჯიხაში და ზღვაიას დასახლებაში ქუჩების, სკვერების, გაზონების, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების აკრეფა-შეგროვება; მოხდება მყარი ნარჩენების გატანა კომერციული სტრუქტურებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებიდან; ჩატარდება ტერიტორიების კეთილმოწყობის და გამწვანების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების ამოწმენდისა და მშენებლობის სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში, განხორციელდება ქ. წალენჯიხის ცალკეული უბნების, აგრეთვე, ეწერის, საჩინოს, ჯგალის, ნაკიფუს, მიქავას, მედანის წყლით მომარაგების უკეთესად უზრუნველყოფა.

ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“ ქ. წალენჯიხაში და მუნიციპალიტეტის თემებში კოორდინაციას გაუწევს გარე განათების 108 კმ-მდე ქსელის და 2700-მდე სანათის მომსახურებას.

ე.ა.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ყოველდღიურად დასუფთავებული 11 ჰექტარზე მეტი ფართობი;

- ქ.წალენჯიხაში, ზღვაიას დასახლებასა და 5 სასოფლო თემში შეგროვებული და სანაგვე ურნებიდან ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებული 4200 $მ^3$ -ზე მეტი მყარი ნარჩენი;

- დასუფთავებული და ეკოლოგიურად სუფთა ცენტრები;

- სამსახურის მკვეთრად გაუმჯობესებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;

- მოსახლეობის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები;

- კეთილმოწყობილი და განათებული ქუჩები, პარკები და სკვერები.

ე.ა.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ქალაქში და თემებში მკვეთრად გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა;

- ქალაქის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული იერსახე;

- მეტი განათებული და კეთილმოწყობილი ქუჩა, სკვერი, პარკები და მოედანი;

-გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობებით კმაყოფილი მოსახლეობა;

- მყარი ნარჩენების სეპარირებული (დახარისხებული) შეგროვების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი;

- ლოკალიზებული სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობა.

ე.ბ) ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ქ. ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური“ (პროგრამული კოდი 03 02 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ.ჯვარის, ფოცხოეწერის დასახლების, ჩქვალერის, ლიის და ფახულანის თემების ცენტრალური ადგილებში წარმოქნილი ნარჩენების მართვა, ტერიტორიის მყარი ნარჩენებისგან გაწმენდა და გატანა ქ.ზუგდიდში არსებულ ნაგავსაყრელზე; ქ.ჯვარისა და ფოცხოეწერის დასახლებაში ქუჩების, სკვერების, გაზონების, საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების დაგვა-დასუფთავება, ნარჩენების აკრეფა-შეგროვება; უწყვეტი რეჟიმით იწარმოებს მყარი ნარჩენების გატანა კომერციული სტრუქტურებიდან, სამრეწველო საწარმოებიდან, სასწავლო-საგანმანათლებლო და სამედიცინო დაწესებულებებიდან; ჩატარდება ტერიტორიების კეთილმოწყობის და გამწვანების ღონისძიებები, სანიაღვრე არხების ამოწმენდისა და მშენებლობის სამუშაოები.

ქვეპროგრამის ფარგლებში აგრეთვე განხორციელდება ფოცხოეწერის დასახლების წყლით მომარაგების უკეთესად უზრუნველყოფა, ვინაიდან ფოცხოეწერი წარმოადგენს იძულებით გადაადგილებულ პირთა კომპაქტურად დასახლებულ უბანს და მიმდებარე ტერიტორიაზე იგეგმება მსოფლიო დონის ატრაქციონებისა და სხვა ღონისძიებების ჩატარება. მომავალ წელს დაგეგმილია უწყვეტი წყლით მომარაგების სისტემის შემუშავება, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს ტურისტების მოზიდვას და იქ მცხოვრებ პირთა ყოფითი პრობლემების მოგვარებას. ასევე, განხორციელდება ქ.ჯვარისა და ფოცხოეწერის ტერიტორიაზე არსებულ გზებზე, პარკებში, სკვერებში, მოედნებსა და შიდა ეზოებში გარე განათების ქსელის მოწესრიგება.

ე.ბ.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ყოველდღიურად დასუფთავებული 7 ჰექტარზე მეტი ფართობი;

- ქ. ჯვარში, ფოცხოეწერის დასახლებასა და ლიის თემში შეგროვებული და სანაგვე ურნებიდან ნაგავსაყრელში ტრანსპორტირებული 2000 $მ^3$ -ზე მეტი მყარი ნარჩენი;

- ქ.ჯვარის და ფოცხოეწერის დასახლების დასუფთავებული და ეკოლოგიურად სუფთა ცენტრები;

- სამსახურის მკვეთრად გაუმჯობესებული მატერიალურ - ტექნიკური ბაზა;

- მოსახლეობის გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობები;

- კეთილმოწყობილი და განათებული ქუჩები, პარკები და სკვერები.;

ე.ბ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ხარისხიანი და სისტემატური მომსახურების შედეგობრივი პარამეტრები;

- ქალაქში მკვეთრად გაუმჯობესებული ეკოლოგიური მდგომარეობა;

- ქალაქის გაუმჯობესებული ინფრასტრუქტურული იერსახე;

- მეტი განათებული და კეთილმოწყობილი ქუჩა, სკვერი, პარკი და მოედანი;

-გაუმჯობესებული საცხოვრებელი პირობებით კმაყოფილი მოსახლეობა;

- მყარი ნარჩენების სეპარირებული (დახარისხებული) შეგროვების რაოდენობრივი და პროცენტული მაჩვენებელი;

- ლოკალიზებული სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობა.

ე.გ) წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული წყალმომარაგების მაგისტრალებისა და ქსელების რეგილიტაცია და მშენებლობა;

ე.გ.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

ქ. წალენჯიხის ცალკეული უბნებისა და მუნიციპალიტეტის თემების უწყვეტი წყალმომარაგება.

ე.გ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველყოფილი მოსახლეობის რაოდენობა.

ე.დ) ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 02 05)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების, მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს შექმნასთან ერთად მნიშვნელოვანია ტურისტების მოზიდვის ხელშეწყობის, მუნიციპალიტეტის ღირშესანიშნაობისა და ტურისტული ადგილების შესახებ ინფორმაციების მოპოვებისა და დათვალიერების ღონისძიებების ხელშეწყობა.

ე.ე.ა) მოსალოდნელი შედეგი:

- ტურისტების დაინტერესება მუნიციპალიტეტის ღირშესანიშნაობებით და გარემოთი, ხელიმაწვდომობა ინფორმაციებზე გზამკვლევებისა და საინფორმაციო ცენტრების მეშვეობით.

ე.ე.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- დამსვენებელთა და ტურისტების რაოდენობრივი ზრდის მაჩვენებელი.

ე.ე) მიწის ნაკვეთების საკადასტრო-აზომვითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალური ქონების ეფექტურად მართვა და განკარგვა. ქვეპროგრამით განხორციელდება მუნიციპალიტეტის დაგეგმარების შესაბამისად, არასასოფლო-სამეურნეო და სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთების შემდგომი გამოყენებისთვის საკადასტრო ნახაზებისა და მათი ელექტრონული ვერსიების მომზადება, შენობა-ნაგებობების აზომვითი ნახაზების შედგენა, აღრიცხვაზე ასაყვანი ქონების შეფასება.

ე.დ.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- უძრავი ქონების მიწის მართვისა და პრივატიზების პროცესის ადმინისტრირება;

- მუნიციპალიტეტის საკუთრებაში დამატებითი ქონების რეგისტრაცია, ბალანსზე ასახვა.

ე.დ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კანონის შესაბამისად განკარგული მუნიციპალური ქონება;

- მუნიციპალიტეტის ქონების ეფექტური განკარგვა და შემოსავლების ზრდა მიწის საკუთრებიდან.

ე.ვ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 03 04)

პროგრამის მიზანია სასოფლო თემებში წყალმომარაგების ქსელების რეაბილიტაციის, შიდა გზების შეკეთების, ინფრასტრუქტურის მოწესრიგების და ამ თემების მიერ განსაზღვრული სხვა პრიორიტეტული პრობლემების მოგვარება.

ე.ვ.ა) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- მუნიციპალიტეტის თემების მოწესრიგებული ინფრასტრუქტურა.

ე.ვ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- განხორციელებული პროექტების ხარისხი;

- მოსახლეობის კმაყოფილება განხორციელებული პროექტებით.

ე.ზ) სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის, საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 06)

პროგრამის აღწერა:

პროგრამის მიზანია ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისათვის საპროექტო დოკუმენტაციისა და შესაბამისი ხარჯთაღრიცხვის შედგენა, მათი ექსპერტიზა, ასევე, მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობის გაწევის მიზნით საექსპერტო მომსახურების შესყიდვა.

ე.ზ.ა) მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- შეუფერხებლად ხარისხიანად განხორციელებული კაპიტალური სამშენებლო პროექტები;

- უხარისხოდ შესრულებული პროექტების რისკის მინიმუმამდე დაყვანა;

ე.ზ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ხარისხიანად განხორციელებული ინფრასტუქტურული პროექტები;

- მომზადებული საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის და საექსპორტო დასკვნების გაუმჯობესებული ხარისხი.

ე.თ) სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 07)

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში სტიქიური მოვლენების დროს დაზიანებული ინფრასტრუქტურის აღდგენისა და მოსახლეობაზე მიყენებული ზარალის ასანაზღაურებლად საჭირო ფინანსური საფუძვლების შექმნა.

ე.თ.ა) მოსალოდნელი შედეგები:

- მოქალაქეებისთვის მიყენებული ზიანის შედეგების ლიკვიდაცია.

- აღდგენილი ინფრასტრუქტურის ფუნქციონირების უზრუნველყოფა.

ე.თ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ლიკვიდირებული სტიქიის შედეგები და აღმოფხვრილი ზიანი;

- სტიქიით გამოწვეული დაზიანებული ინფრასტრუქტურის და მოსახლეობაზე მიყენებული ზიანის აღდგენის რაოდენობრივი მაჩვენებელი.

ე.ი) რეგიონული განვითარების ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 03 08)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით მსხვილი ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორიცაა გზების მშენებლობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაცია, წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა, სკვერების და ბაღის სრული რეაბილიტაცია და ახალი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ეზოების კეთილმოწყობა და სხვა; აღნიშნული პროგრამების განხორციელებისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან თანადაფინანსების გამოყოფა.

ე.ი.ა)მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება და მყარი მატერიალური ბაზის შექმნა;

- მოსახლეობის ცხოვრების პირობების და კეთილდღეობის გაუმჯობესება.

ე.ი.ბ)შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი პროექტების დინამიკური ზრდა;

- მოსახლეობის გაუმჯობესებული ცხოვრების პირობები და ეტაპობრივად გადაწყვეტილი სოციალურ-საყოფაცხოვრებო პრობლემები.

ე.კ) საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ოფისების მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 09)

ქვეპროგრამის აღწერა:

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებით საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ოფისების მშენებლობა ქ. წალენჯიხასა და ქ. ჯვარში.

ე.კ.ა) მოსალოდნელი შედეგები:

- მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი განვითარება;

- მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის პირობების გაუმჯობესება და გადაუდებელი დახმარების დონის ამაღლება.

ე.კ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- გადაუდებელი დახმარების კოორდინაციის სამსახურის გაუმჯობესებული მუშაობით კმაყოფილი მოსახლეობა;

- სამედიცინო და გადაუდებელი დახმარების სამსახურების პერსონალის მუშაობის გაუმჯობესებული პირობები.

4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ბაღების რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების მშენებლობა, ასევე, მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მიმდინარე რემონტისა და სხვა ღონისძიებების თანადაფინანსება.

ა) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

ქვეპროგრამის მიზანია საბავშვო ბაღებში სრულფასოვანი სააღმზრდელო გარემოს შექმნა, მათი კეთილმოწყობა და კვალიფიციური პერსონალით უზრუნველყოფა, მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტი აფინანსებს ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის, ბავშვების კვების ხარჯებს, აღმზრდელ-მასწავლებელთა ხელფასებს, ბაღების რეაბილიტაციას და მშენებლობას.

ქვეპროგრამის განხორციელება ხელს უწყობს ბავშვების ინტელექტუალურ და ფიზიკურ განვითარებას, შემეცნებითი და შემოქმედებითი უნარების ფორმირებას, ინდივიდუალური და პიროვნული თვითგამოხატვის უნარების გამოვლენას და ესთეტიკური გემოვნების ჩამოყალიბებას, უზრუნველყოფს თითოეულ ბავშვისთვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის, უსაფრთხო და პოზიტიური სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების გაუმჯობესებას და ბავშვების ხარისხიან კვებას.

ა.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგი:

საბავშვო ბაღებში სააღმზრდელო პროცესის მაღალი დონე;

სტანდარტების შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

საბავშვო დაწესებულებებში ჯგუფების მატება და აღზრდის პროცესში სრულფასოვანი კვებით და ხარისხიანი საამღზრდელო პროცესით უზრუნველყოფილი სკოლამდელი ასაკის ბავშვთა კონტინგენტის სრულად ჩართვა;

ა.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

საბავშვო დაწესებულებებში ჯგუფების და ნორჩ აღსაზრდელთა გაზრდილი კონტიგენტი;

შშმ აღსაზრდელების ინტეგრაციისა და ხელმისაწვდომობისათვის გატარებული ეფექტური ღონისძიებების რაოდენობა;

ახლად აშენებული და რეაბილიტირებული საბავშვო ბაღების რაოდენობა;

ბავშვთა კვებაზე გამოყოფილი თანხის რაოდენობა.რულად ჩართული,

ბ) საჯარო სკოლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების სარემონტო და სარეაბილიტაციო სამუშაოების თანადაფინანსება, აგრეთვე, ისეთი ღონისძიებების მხარდაჭერა, როგორიცაა: ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება, ზოგადი განათლების ღიაობა და თანაბარი ხელმისაწვდომობა ყველასთვის მთელი სიცოცხლის განმავლობაში, ინკლუზიური სწავლების გაფართოება, მოსწავლეთა ზოგადი განათლების განვითარებაზე ორიენტირებული განსაკუთრებით საინტერესო პროექტების თანადაფინანსება, სკოლებისათვის სხვადასხვა თემატური და კალენდარული დღისადმი მიძღვნილი კონკურსების, ინტელექტუალური და ცოდნის პოპულარიზაციის მიზნით აქტივობების განხორციელების ხელშეწყობა, შემოსული მცირე პროექტების თანადაფინანსება, მასწავლებლის დღესთან დაკავშირებით ღვაწლმოსილი პედაგოგების დაჯილდოება.

ბ.ა) შუალედური შედეგი:

- საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება.

- საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესის, ასევე არასასკოლო განათლების მსურველთა მოტივაციის ამაღლება, აღსაზრდელთა და მოზარდთა შემეცნებით-საგანმანათლებლო დონის ამაღლება.

- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა განათლების ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა, მათთვის შესაბამისი გარემოს უზრუნველყოფა;

ბ.ბ) შუალედური შედეგის ინდიკატორი:

- მოსწავლეთა ზოგადი განათლების დონე;

- მოსწავლეთა სასწავლო-აკადემიური და თავისუფალი აზროვნების, შემეცნებით კონკურსებში მოსწავლეთა ჩართულობის დონე;

- მეტი რეაბილიტირებული და კეთილმოწყობილი სასკოლო დაწესებულება;

- სასკოლო ინიციატივების დაფინანსების გზით მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი და განვითარებული სასკოლო გარემო;

- მოსწავლეების ინფორმირებულობის, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობისა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარების დონე.

გ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების შენობების რეაბილიტაციის და ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობის დაფინანსება.

გ.ა) შუალედური შედეგი:

- რეაბილიტირებული საბავშვო ბაღები;
- ახლად აშენებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობები.

გ.ბ) შუალედური შედეგის ინდიკატორი:

- რეაბილიტირებული და ახლად აშენებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების შენობების რაოდენობა.

დ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 04)

ქვეპროგრამის მიზანია საჯარო სკოლების მოსწავლეთა უსაფრთხო ტრანსპორტირება და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის ხელშეწყობა.

გ.ა) შუალედური შედეგი:

- მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლეთა ორგანიზებული და უსაფრთხო გადაყვანა.

გ.ბ) შუალედური შედეგის ინდიკატორი:

- სკოლებში ტრანსპორტირებით უზრუნველყოფილი მოსწავლეების რაოდენობა;
- სატრანსპორტო მომსახურების დონე.

ე) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია წალენჯიხის მუნიციპალიტეტში არსებული სკოლამდელი დაწესებულებების შენობების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება.

გ.ა) შუალედური შედეგი:

- საჯარო სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება;
- საჯარო სკოლების შენობებში თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი გარემოს შექმნა.

გ.ბ) შუალედური შედეგის ინდიკატორი:

- რეაბილიტირებული საჯარო სკოლების შენობების რაოდენობა.

5. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების სრულად გამოვლინება.

ა) **სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი, წარმატებული სპორტსმენების წახალისება.

პროგრამის ძირითადი პრიორიტეტია სპორტის სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია; სხვადასხვა ასაკობრივი გუნდების მომზადება და საერთაშორისო და ადგილობრივ სპორტულ ღონისძიებებში (მსოფლიო, ევროპის და საქართველოს ჩემპიონატები, ოლიმპიური შეჯიბრებები, პირველობები, თასების

გათამაშებები, მასობრივი სპორტული ღონისძიებები, საერთაშორისო ტურნირები, სასწავლო საწვრთნელი შეკრებები) მონაწილეობის მიღება; საერთაშორისო ტურნირებში წარმატებების მოპოვება; მოსახლეობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება; ბავშვთა და მოზარდთა შორის თავისუფალი დროის სწორად გამოყენება; მწვრთნელმასწავლებელთა და წარმატებული სპორტსმენი ბავშვების სტიმულირება და მატერიალური პირობების გაუმჯობესება; სპორტული ობიექტების კონკურენტუნარიანობის ამაღლება; ფიზიკური ვარჯიშების სრულყოფა და ფიზიკური კონდიციების ამაღლება; სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა და რეაბილიტაცია; თანამედროვე სპორტული ინვენტარით აღჭურვილი მატერიალურ-ტექნიკური ბაზების შექმნა; სპორტის სფეროში მოღვაწე დამსახურებულ მუშაკთა და მწვრთნელთა სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება.

ა.ა) მუნიციპალიტეტის სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 01)

პროგრამის ფარგლებში ფუნქციონირებს 20 სპორტული წრე, სადაც გაერთიანებული არის 400 (ოთხასამდე) მოსწავლე.

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალური საკლუბო გუნდების მხარდაჭერას, რომლის მიზანია პროფესიული და ასაკობრივი ჯგუფების განვითარება, მოზარდთა მასობრივ სპორტში ჩართვისათვის ხელმისაწვდომობის ამაღლება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ადგილობრივი პროფესიული სპორტული კლუბების განვითარებას; ბავშვთა და მოზარდთა ფიზიკური განათლების და სპორტში მათი მასობრივად ჩაბმის ხელშეწყობა; მწვრთნელთა მივლინება გუნდებთან ერთად ადმინისტრაციულ ერთეულებში რაიონულ, რეგიონალურ და საერთაშორისო სპორტულ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღება; მასობრივი და სამოყვარულო სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, გამარჯვებულთა ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოება.

წალენჯიხის მუნიციპალური სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება და მოვლა-პატრონობა; სპორტის სახეობათა – ჭადრაკის, ჭიდაობის, რაგბის, კალათბურთის, კარატეს, მძლეოსნობის, კრივის (ოლიმპიური და არაოლიმპიური) სახეობების განვითარების ხელშეწყობა;

ა.ა.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ახალგაზრდა თაობის მეტი ჩაბმულობა სპორტულ-გამაჯანსაღებელ ღონისძიებებში;

სპორტის სხვადასხვა სახეობების ადგილობრივი და საერთაშორისო რანგის შეჯიბრებებში სპორტსმენთა წარმატებული გამოსვლა;

საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურის შექმნა;

მატერიალურად წახალისებული და მოტივირებული მწვრთნელ-მასწავლებლების და ახალგაზრდა, პერსპექტიული სპორტსმენების ფორმირების უზრუნველყოფა.

მოსახლეობის ფართო ფენებში, განსაკუთრებით ახალგაზრდებში, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება.

ა.ა.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- სხვადასხვა დონის სპორტულ შეჯიბრებებზე გამარჯვებულ პრიზიორ სპორტსმენთა რიცხობრივი ზრდის დინამიკა;

- საერთაშორისო სტანდარტების და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი სპორტული ობიექტის რაოდენობა;

- დანერგილი და განვითარებულის პორტის ახალი პოპულარული სახეობების რაოდენობა.

ა.ბ) ფეხბურთის განვითარების ცენტრი – საფეხბურთო კლუბი „სქური“ (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ფეხბურთის ცენტრი - საფეხბურთო კლუბი „სქურის“ დაფინანსება. ცენტრი აერთიანებს ბავშვთა საფეხბურთო 4 ჯგუფს, რომლებიც მონაწილეობენ აჭარა-სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულ პირველობაში, ასევე, სამ არასაშეჯიბრო სარეზერვო მოსამზადებელ ჯგუფს, რომლებიც მონაწილეობენ საფესტივალო შეჯიბრებებში. ქვეპროგრამის ძირითადი მიზანია ბავშვთა ფეხბურთის განვითარება და ნიჭიერი ფეხბურთელების აღზრდა, აგრეთვე, საფეხბურთო კლუბი „სქურის“ ფუნქციონირების ფინანსური და ორგანიზაციული უზრუნველყოფა.

ა.ბ.ა)მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ბავშვთა საფეხბურთო ჯგუფების ფუნქციონირება, კლუბისათვის მომზადებული ნიჭიერი ფეხბურთელები, საქართველოს საფეხბურთო ჩემპიონატის მეოთხე ლიგაში მოასპარეზე საფეხბურთო კლუბ „სქურის“ წარმატებული მონაწილეობა საქართველოს პირველობაზე.

ა.ბ.ბ)შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- ბავშვთა ჯგუფებში გაერთიანებულ მოსწავლეთა რაოდენობა;

- საფეხბურთო კლუბ „სქურის“ სატურნირო შედეგები.

ბ)კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, განხორციელდება კულტურული ღონისძიებები, ასევე, სადღესასწაულო დღეებში ჩატარდება გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

ბ.ა) კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში სუბსიდიური წესით ფინანსდება ა(ა)იპ ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი“.

ქვეპროგრამის მიზანია ქართული ფოლკლორის განვითარების ხელშეწყობა, თანამშრომლობა ხელოვნების სხვადასხვა დარგის მოღვაწეებთან, შემოქმედებით კოლექტივებთან, ცალკეულ ხელოვანებთან, სხვადასხვა დარგის დამსახურებულ მოღვაწეებთან, კულტურული ღონისძიებების ჩატარება და მუნიციპალიტეტის შემოქმედებითი კოლექტივების მონაწილეობის უზრუნველყოფა სხვადასხვა ღონისძიებებსა და ფესტივალებში. სახვითი დეკორატიული-გამოყენებითი და ხალხური შემოქმედების ნაწარმოებების გამოფენის მოწყობა, ღირსშესანიშნავი თარიღების აღნიშვნა, სახალხო დღესასწაულების აღსანიშნი ღონისძიებების ჩატარება („გრანელობა“, „ტარასობა“ და სხვა).

კულტურის ცენტრი უზრუნველყოფს ბიბლიოთეკების, მუზეუმების, კლუბების და კულტურის სახლების ფუნქციონირებას.

ცენტრი, აგრეთვე, კოორდინაციას უწევს ტერენტი გრანელის სახელობის მუზეუმს, ეთნოგრაფიულ მუზეუმს, ლეო ქიაჩელის მუზეუმს, აკადემიკოს ტარას კვარაცხელიას სახელობის მუზეუმს, აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახლ-მუზეუმს, რომლებშიც დაცულია მათი ცხოვრების ამსახველი ფოტომასალები და პირადი ნივთები. მუზეუმები სისტემატურად იღებენ დამთვალიერებლებს, მათ შორის უცხოელ ტურისტებსაც. მუზეუმებში ჩამოყალიბებულია ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბები, სადაც ტარდება საინტერესო კულტურული, სამეცნიერო და შემეცნებითი ხასიათის ღონისძიებები.

ბ.ა.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

უზრუნველყოფილია საზოგადოების ფართო ფენებისათვის კულტურული ფასეულობებისა და ღირებულებების ხელმისაწვდომობა;

შენარჩუნებულია, განახლებულია და ექსპონატებით შევსებულია მუნიციპალიტეტში არსებული ადგილობრივი მნიშვნელობის მუზეუმები, ხდება სამუზეუმო საქმიანობის პოპულარიზაცია;

ეწყობა მხატვართა ნამუშევრების და ხელოვნების სხვადასხვა ნიმუშების გამოფენები, მწერლების და სხვა დარგის ხელოვან ადამიანთა შემოქმედებითი საღამოები.

ბ.ა.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორი:

- მოსახლეობის პოზიტიური განწყობილება;

- ქვეყნის შიდა და საერთაშორისო კონკურსებსა და ფესტივალებში მონაწილეთა და ლაურეატების საპრიზო ადგილების რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლები;

- კულტურულ ღონისძიებებზე მოსახლეობის დასწრების რაოდენობრივი მაჩვენებელი;

- კულტურის დაწესებულებების გაზრდილი როლი.

ბ.ბ) ა(ა)იპ „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმათლებლო ცენტრის“ დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ა(ა)იპ ,,წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სახელოვნებო-საგანმანათლებლო ცენტრი”, რაც გამოიხატება შრომის ანაზღაურების და მიმდინარე ხარჯების სუბსიდირებაში. ცენტრში ფუნქციონირებს სახელოვნებო და საგანმანათლებლო განყოფილებები. სახელოვნებო განყოფილებებში ისწავლება ფორტეპიანო, საგუნდო სიმღერა, ვოკალი, ფოლკლორი და მუსიკალური ლიტერატურა. სწავლის ხანგრძლივობაა 6 წელი. ბავშვთა რაოდენობა სახელოვნებო განყოფილებებში შეადგენს 129 აღსაზრდელს. საგანმანათლებლო განყოფილებაში ფუნქციონირებს 13 წრე: ინგლისური ენის, მგალობელთა, ხატვის, ვოკალური, სამეჯლისო, უნარ-ჩვევების, მხატვრული კითხვის, ლიტერატურის, რუსული ენის, თექის, კომპიუტერის შემსწავლელი, თეატრალური და ქორეოგრაფიული წრეები. საგანმანათლებლო განყოფილების წრეებში სწავლობს 295 მოსწავლე. წრეებში სწავლის საფასური არის 5-დან 20 ლარამდე. ცენტრის აღსაზრდელები მონაწილეობენ შიდასასკოლო, რეგიონულ, რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, ფესტივალებსა და სხვა ღონისძიებებში. ცენტრი ზრუნავს განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების გამოვლენასა და წარმოჩენაზე, მათი პროფესიული ორიენტაციის ჩამოყალიბებაზე, მუსიკალური კარიერის გაგრძელებაზე, ზოგადად, ინტელექტუალურად და სულიერად მდიდარი მომავალი თაობის აღზრდაზე.

ბ.ბ.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

განსაკუთრებული ნიჭით დაჯილდოებული მოსწავლეების წარმოჩენა და ჩართვა სხვადასხვა ადგილობრივ და საერთაშორისო კონკურს-ფესტივალებში, მოსწავლეთა მონაწილეობა სასწავლო შემოქმედებით კონფერენციებში და ოლიმპიადებში.

ბ.ბ.ბ)შედეგების შეფასების ინდიკატორები:

სახელოვნებო და საგანმათლებლო განყოფილებების სტუდიებსა და წრეებში განათლებამიღებული მოსწავლეების რაოდენობა; სხვადასხვა კონკურს-ფესტივალებში გამარჯვებულ ბავშვთა რაოდენობის ზრდის დინამიკა.

გ) ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 03)

პროგრამის ფარგლებში, შესაბამისი ცენტრების მეშვეობით, დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს უწყობენ ახალგაზრდა თაობის მეტ ჩართულობას მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში, ასევე, დაფინანსდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ბავშვების სხვადასხვა ღონისძიებებზე მგზავრობის, სტუდენტური დღეების და მხიარული სტარტების ხარჯები.

გ.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

- ახალგაზრდების თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარების ღონისძიებების ხელშეწყობა, მათი ჩართულობა არსებული გამოწვევების შეფასებასა და გადაწყვეტის გზების ძიებაში;

- ზაფხულის თვეებში სტუდენტებისა და სხვა ახალგაზრდების დასვენებისათვის შესაფერისი პირობების შექმნა;

- შემოქმედებითი და გასართობი ფესტივალების ორგანიზება.

გ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული გამოწვევების და მათი დაძლევის რესურსების გამოვლენაში აქტიურად ჩაბმული ახალგაზრდების რაოდენობა;

- ახალგაზრდების მოტივირებისა და თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარების მიმართულებით განხორციელებული აქტივობების რაოდენობა.

დ) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული რელიგიური ორგანიზაციების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ზოგიერთ ტაძარსა და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები.

დ.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

მოსახლეობის რელიგიური მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის შექმნილი სათანადო პირობები;

დ.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

თვითმმართველობის საქმიანობით რელიგიურად აქტიური მოსახლეობის კმაყოფილების დონე.

ე) სპორტული და კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. წალენჯიხაში ტერენტი გრანელის სახელობის პარკის სრული რეაბილიტაცია.

ე.ა) მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ქალაქის მოსახლეობის კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისათვის შექმნილი სათანადო პირობები;

ე.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

კულტურისა და დასვენების ობიექტებისადმი თვითმმართველობის დამოკიდებულებით მოსახლეობის კმაყოფილების დონე.

ვ) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 05 06)

გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის, ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა.

პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას თვითმმართველობის პერსონალში, განსაკუთრებით მერის წარმომადგენლებში, მათ ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე.

იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, პირველ რიგში, საჯარო მოხელეების კვალიფიკაციის და კომპეტენციის ამაღლება, გენდერული საჭიროებების შესწავლა და ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის ინტერესების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების.

სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე, რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოჰყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან.

ჯერჯერობით სათანადო დონეზე უნდა დადგეს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის პრაქტიკა, საჯარო მოხელეების გენდერული კვალიფიკაცია და დაინერგოს გენდერული დღის წესრიგი, მოხდეს ყველა გენდერული ჯგუფის მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.

ვ.ა) გენდერული საბჭოს გაძლიერების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 05 06 01)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი: წალენჯიხის გენდერული თანასწორობის საბჭო.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 3100 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

გენდერული თანასწორობის საბჭო, როგორც ადგილობრივი ინსტიტუციური მექანიზმი, გენდერული მრჩევლის ინსტიტუტის პარალელურად, წარმოადგენს გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების ყველაზე ხელშესახებ ინსტრუმენტს. ადგილობრივი სამართლიანი და მოწყვლად ჯგუფებზე ორიენტირებული პოლიტიკის რეალიზებისათვის კი გენდერული თანასწორობის საბჭო საჭიროებს სათანადო ინსტიტუციურ გაძლიერებას და მეთოდოლოგიურ შეიარაღებას, რათა ხელი შეუწყოს ადგილზე გენდერული მიდგომების, გენდერული ანალიზის, საჭიროებათა გამოვლენის გზით გენდერული ბიუჯეტის დანერგვას, როგორც მოქალაქეთა ყველა ჯგუფის ინტერესების გათვალისწინების, რესურსების სამართლიანად განაწილების ინსტრუმენტს.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- გენდერული განათლების ტრენინგები
- ტერიტორიული ერთეულის ხელმძღვანელების კვალიფიკაციის ამაღლება.
- ტრენინგი საჭიროებათა გამოვლენასა და მონაცემთა შეგროვების უნარებში.
- სტატისტიკური ბაზის შექმნა.
- გენდერული საბჭოს ცნობადობისთვის საპრეზენტაციო ბანერის, ბუკლეტების დამზადება.
- გენდერული ბიუჯეტის ტრენინგები თვითმმართველობის პერსონალისთვის.
- ადგილობრივი პოლიტიკური დოკუმენტების ჰარმონიზაცია გენდერულ კანონმდებლობასთან.
- გენდერული თანასწორობის გეგმის შესრულების მონიტორინგი.

ვ.ა.ა) შუალედური შეგედები

გენდერული თანასწორობის საბჭო გაძლიერებულია მეთოდოლოგიურად და მისი წევრების აქტიური ჩართულობით ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმის გამხორციელებას.

საბჭოს წევრებმა აიმაღლეს კვალიფიკაცია და აქტიურად არიან ჩართული ადგილობრივ პოლიტიკურ დიალოგში მოქალაქეებთან.

ტერიტორიული ერთეულების წარმომადგენლები მზად არიან მოახდინონ რეაგირება გენდერული დისკრიმინაციის/ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის ფაქტებზე.

დანერგილია მონაცემთა შეგროვების და საჭიროებათა გამოვლენის პრაქტიკა და არსებობს მონაცემთა ბაზა.

ვ.ა.ბ) ინდიკატორები

გენდერული საბჭოს წევრებისთვის ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, ტრენინგის მონაწილეთა რაოდენობა. ამაღლებული გენდერული ცნობიერება.

დამზადებულია სააგიტაციო მასალა საბჭოს ცნობადობისათვის.

ადგილობრივი პოლიტიკური დოკუმენტები ასახავენ გენდერზე ორიენტირებულ თემატიკას.

უწყებათაშორისი საბჭოსთვის, რეგიონალური მართვის სამინისტროსთვის მიწოდებული ინფორმაციების/ანგარიშების რაოდენობა.

ვ.ბ) ოჯახში ძალადობისგან დაცვის და ძალადობის პრევენციის ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 05 06 02)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი:

წალენჯიხის გენდერული თანასწორობის საბჭო, გენდერული მრჩეველი, ადგილობრივი პრტნიორი არასამთავრობო ორანიზაციები.

ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 1900 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი:

წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ისევე როგორც სხვა მეზობელ მუნიციპალიტეტებში, საკმაოდ ხშირია სქესის

ნიშნით დისკრიმინაციის ფაქტები როგორც ოჯახში, ასევე საჯარო სივრცეში.

წალენჯიხაში ჯერჯერობით არ არის დანერგილი პრაქტიკა, რომელიც არსებობს სხვა მუნიციპალიტეტებში ოჯახში ძალადობის მასშტაბების კვლევის კუთხით, რის გამოც ბოლომდე უცნობია ძალადობის მასშტაბები და სიმწვავე.

მოქალაქეები ცუდად არიან გარკვეული ძალადობისგან დაცვის მექანიზმებში, უჭირთ დაიცვან თავი კანონის გამოყენებით. მსხვერპლი ხშირ შემთხვევაში დაუცველია და აგრძელებს მოძალადესთან ცხოვრებას. არის ფაქტები, რომ როცა ის გადაწყვეტს განერიდოს მოძალადეს, ხდება საზოგადოების გაკიცხვის საგანი.

რიგ შემთხვევებში, მსხვერპლი თავს არიდებს თავშესაფარში გადასვლას, რადგან სახელმწიფო სერვისების ნაკლებობა მას არ აძლევს საშუალებას, იყოს ბოლომდე დაცული და თვითკმარი, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია ადგილობრივი მხარდაჭერა, მაგალითად, საცხოვრებლით, ერთჯერადი დახმარებით, რათა აირიდოს საფრთხე და იზოლირებული იყოს მოძალადისგან.

ხშირად მსხვერპლი საჭიროებს ფსიქოლოგიურ და იურიდიულ დახმარებას, რომლის გაწევა, თვითმმართველობასთან გაფორმებული მემორანდუმების საფუძველზე, შეუძლიათ პარტნიორ არასამთავრობო ორგანიზაციებს („მერკური“, ფონდი “სოხუმი“).

ადგილობრივი ხელისუფლება ყველაზე ახლოს არის მოქალაქეებთან და მათ საჭიროებებთან, შესაბამისად, დიდია მათ მიმართ ნდობის ფაქტორი, ამიტომ ძალადობის პრევენციისთვის მნიშვნელოვანია რისკ-ჯგუფის ოჯახების გამოვლენა და ადგილობრივი სოციალური თანამშრომლობა რეფერალური მექანიზმის სუბიექტებთან - პოლიციასთან, სოციალურ მუშაკებთან, სკოლებთან, მედიცინის მუშაკებთან.

მოქალაქეების ინფორმირებულობის დაბალი ხარისხი, ძალადობის პრობლემის მიმართ შემწყნარებლური დამოკიდებულება გამოკვეთავს სამოქალაქო კამპანიების აუცილებლობას შესაბამისი სააგიტაციო მასალებით, რათა მოხდეს ძალადობის საშიში სოციალური შინაარსის გაცნობიერება.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ოჯახში ძალადობის მსხვერპლის და /ან თავშესაფრიდან დაბრუნებული დაზარალებულის დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა.

- დაზარალებულებისთვის ფსიქოლოგიური და იურიდიული კონსულტაციის გაწევა.

- ძალადობის რისკ-ჯგუფის ოჯახების გამოვლენა და მედიაცია.

- ძალადობის მსხვერპლის დასაქმებაში დახმარება.

- რეფერალური მექანიზმების სუბიექტებთან თანამშრომლობა.

- ადგილობრივ სერვისის მიმწოდებელ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა მსხვერპლის დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად.

- ძალადობის წინააღმდეგ საერთაშორისო კამპანიაში მონაწილეობა.

- ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის პრევენციის ინტერსექტორალური ჯგუფის (პოლიცია, სოციალური მუშაკი, პედაგოგები, ექიმები) დიალოგის ორგანიზება.

- ოჯახში ძალადობის მასშტაბების სიტუაციური კვლევა წალენჯიხის მუნიციპალიტეტში

ვ.ბ.ა) შუალედური შედეგები

ქვეპროგრამის განხორციელების შედეგად მოხდება თვითმმართველობის პერსონალის ჩართვა ძალადობის პრევენციასა და შემთხვევების მართვაში, გაიზრდება თანამშრომლობა და კოორდინაცია რეფერალური მექანიზმის სუბიექტებთან. ძალადობის მსხვერპლს მიეწოდება შესაბამისი სერვისები, ხელშეწყობილი იქნება მისი სოციალიზაცია.

კამპანიის საშუალებით მოხდება საზოგადოების ცნობიერების გაზრდა და პრობლემის ადეკვატური აღქმა.

ვ.ბ.ბ) ინდიკატორები

დაზარალებულების/რისკ-ჯგუფების რაოდენობა, ვინც მიიღო სერვისი, კვლევის შედეგად გამოვლენილი საკითხები, დაბეჭდილი სააგიტაციო მასალა, ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა.

ვ.გ) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გენდერული განათლებისა და ოჯახში ძალადობაზე ცნობიერების ამაღლების ქვეპროგრამა (პროგრამული კოდი 05 06 03)

ქვეპროგრამის განმახორციელებელი გენდერული თანასწორობის საბჭო, სკოლამდელი აღზრდის ცენტრი

ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 2000 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი

საქართველოს კანონმდებლობით, სკოლამდელ დაწესებულებებს გააჩნიათ განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე რეაგირებისათვის. რადგან იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ბავშვზე პირდაპირ არ ხორციელდება ძალადობა, ოჯახში ძალადობრივი კონფლიქტების შედეგად ის განიცდის გამოუსწორებელ ფსიქოლოგიურ და ემოციურ ზიანს, რომელიც შეიძლება დამანგრეველი აღმოჩნდეს მისი ფსიქიკისათვის.

სკოლამდელი დაწესებულებების პედაგოგები ხშირად ხდებიან გარეული ოჯახების გაყრის შედეგად გაჩენილ ინტერესთა კონფლიქტში, რომელსაც ასევე ეწირება ბავშის ფსიქოლოგიური კეთილდღეობა.

„ოჯახში ძალადობის აღკვეთის“ კანონის მიხედვით, ძალადობის ფორმად ითვლება უგულვებელყოფა, როდესაც მშობელი არ ასრულებს თავის ფუნქციას და უგულვებელყოფილია ბავშვის საუკეთესო ინტერესები და აღზრდისა და განვითარების ნორმალური პირობები. ყველა ამ და სხვა შემთხვევებში სკოლამდელი დაწესებულების პესონალს ევალება შესაბამისი რეაგირება და თანამშრომლობა რეფერირების სტრუქტურებთან. შესაბამისად, თვითმმართველობას აქვს ვალდებულება, უზრუნველყოს სკოლამდელი დაწესებლებების პერსონალის მომზადება ამ კუთხით. ოჯახში ძალადობის, ბულინგის პრევენციის ღონისძიებები.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- გენდერული განათლების ტრენინგები პედაგოგებისა და მშობლებისათვის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში (10 ტრენინგი).

-საინფორმაციო შეხვედრები რეფერალური მექანიზმის სუბიექტების მონაწილეობით ოჯახში ძალადობის თემაზე.

ვ.გ.ა) შუალედური შედეგები

კომპონენტის შედეგად გენდერის, გენდერული სტერეოტიპების, გენდერული დისკრიმინაციის, გენდერული ძალადობის, ძალადობისგან დაცვის მექანიზმებზე ტრენინგებს გაივლის 130 პედაგოგი და აღმზრდელი, მედდა. 80 მშობელი.

რეფერირების სუბიექტების ჩართულობით გაიმართება 15 შეხვედრა.

ვ.გ.ბ) შედეგების ინდიკატორები

ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა, ტრენინგების მონაწილეთა რაოდენობა

მშობლებისგან მიღებული უკუკავშირი.

ვ.დ) ქალთა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერების და ეკონომიკური აქტიურობის ხელშეწყობის ქვეპროგრამა

პროგრამული კოდი 05.06.04

ქვეპროგრამის ბიუჯეტი - 3000 ლარი

ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი -

თვითმმართველობის საკუთარი უფლებამოსილება- დასაქმების პროგრამების განხორციელება არის მეტად მნიშვნელოვანი კომპონენტი მოქალაქეთა კეთილდღეობის ხარისხის ამაღლებისათვის, რაც კლასიკური გაგებით, არის თვითმმართველობის მთავარი „მოწოდება“. სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური თვითკმარობის პლატფორმაზე გადასვლა წარმოადგენს სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საკითხს.

ქალთა სხვადასხვა ჯგუფების მოწყვლადობის ხარიხს აძლიერებს მათი დაბალი ინფორმირებულობა არსებულ სახელმწიფო პროგრამებზე, როგორიცაა „აწარმოე საქართველოში“, „დანერგე მომავალი“ და სხვა.

ქალბატონებს აკლიათ როგორც სითამამე და ნდობა არსებული რესურსებისადმი, ასევე სამეწარმეო გამოცდილება, უნარები, მიუწვდომელია საწყისი კაპიტალი, არ აქვთ პროექტების წერის გამოცდილება.

ქვეპროგრამა ისახავს მიზნად შეიქმნას საკომუნიკაციო სივრცე ქალებისა და გოგონებისათვის. ცენტრის აღჭურვისთვის გამოყენებული იქნება დონორების (გაეროს ქალთა ფონდი, ფონდი „ტასო“) რესურსები.

განსახორციელებელი ღონისძიებები

- ქალთა რესურსცენტრის აღჭურვა

- სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებზე წვდომის უზრუნველსაყოფად საკონსულტაციო სერვისის უზრუნველყოფა

- სამეწარმეო უნარების ტრენინგები (დონორების კონტრიბუცია)

- ქალთა ეკონომიკური ინიციატივების წახალისება

- ქალ-მეწარმეთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის ორგანიზება

ვ.დ.ა) შუალედური შედეგები

ქვეპროგრამის განხორციელებით მოხდება ქალთა სხვადასხვა ჯგუფის გააქტიურება როგორც სოციალურად, ასევე ეკონომიკურად; მოხდება მათი უფრო აქტიური ჩართვა თვითმმართველობაში; შეიქმნება თვითმმართველობის მიერ ქალთა ეკონომიკური საქმიანობის წახალისების პრეცენდენტი; განხორციელდება პარტნიორობა ამ საკითხზე ადგილობრივ და საერთაშორისო ინსტიტუტებთან.

ვ.დ.ბ) შუალედური შედეგების ინდიკატორები

ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა.

საკონსულტაციო შეხვედრების რაოდენობა.

ქალების მიერ მიღებული ეკონომიკური სარგებელი და გაუმჯობესებული თვითკმარობა.

6. მუნიციპალიტეტის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის პროგრამები (პროგრამული კოდი 06 00):

ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვა (პროგრამული კოდი 06 01)

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ: საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; საგანმანათლებლო, აღმზრდელობით და საგანმანათლებლო-აღმზრდელობით დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაციას და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტ აღრიცხვას, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწას და გაუმჯობესებას; დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივ შემცირებას მისი კონტროლის გზით; ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობას და მათზე სწრაფ რეაგირებას, პროფილაქტიკური ღონისძიებების გატარებას; არაგადამდებ დაავადებათა პრევენციას და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებისგან

დაცვას მოსახლეობის ინფორმირების გზით.

ა.ა.ა)მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

„C“ ჰეპატიტზე, აივ/შიდსსა და ტუბერკულოზზე ინტეგრირებული სკრინინგის განხორციელება, ასევე შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარება.

ა.ა.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

გამოკვლეული ბენეფიციარების რაოდენობა.

პრევენციული ღონისძიებების გატარების შედეგად მიღებული შედეგების დინამიკა.

ა.ბ) ჯამრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურებისა და ონკოლოგიურ პაციენტთა ქიმიო და ჰორმონოთერაპიის ნაწილობრივი თანადაფინანსება(პროგრამული კოდი 06 01 02).

საყოველთაო დაზღვევით გათვალისწინებული დაფინანსება ანგარიშდება მომსახურების მიმწოდებლის ტარიფის არეალის ზედა ზღვარზე დაფიქსირებული ღირებულებიდან. ხშირ შემთხვევაში აღნიშნული ტარიფი აჭარბებს ტარიფის არეალის ლიმიტს, შესაბამისად, პაციენტის თანაგადახდა ხშირად მეტია საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებულ თანხაზე .

პროგრამა ითვალისწინებს პაციენტის გადახდაში თანამონაწილეობას და გამოითვლება შემდეგი წესით: თუ საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული თანხა მთლიანი ღირებულების 70%-ზე მეტია, დაფინანსდება პაციენტის გადასახდელი თანხის ნახევარი, ხოლო თუ 70% -ზე ნაკლებია - დაფინანსდება საყოველთაო დაზღვევით დაფარული თანხის 25%. ამ ორივე შემთხვევაში პროგრამით გამოთვლილი თანხის დაფინანსებას ექვემდებარება 50 (ორმოცდაათი) ლარი და ზემოთ, არაუმეტეს 500(ხუთასი) ლარისა. პროგრამა ასევე არ ითვალისწინებს საყოველთაო დაზღვევით 100%-ით დაფინანსების შემთხვევების თანადაფინანსებით.

პროგრამა ძირითადად ითვალისწინებს საგარანტიო წერილის გაცემას, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ. საგარანტიო წერილის გასაცემად საჭიროა შესაბამისი ჯანმრთელობის ცნობა ფ.N 100 და საყოველთაო დაზღვევის საგარანტიო წერილის ასლი, ან იგივე ინფორმაციის მატარებელი სხვა დოკუმენტი. დასაფინანსებელი თანხის ოდენობას განსაზღვრავს სოციალური კომისია, ხოლო საგარანტიო წერილს გასცემს მუნიციპალიტეტის მერი. იშვიათ შემთხვევაში დაფინანსება მოხდება გაწეული სამედიცინო მომსახურების შემდგომ არაუგვიანეს 3 თვის ვადაში უნაღდო ანგარიშსწორებით პაციენტის ან მისი ოჯახის წევრის პირად საბანკო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით.

ა.გ) ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 03).

პროგრამის ბენეფიციარები არიან ფსიქიური აშლილობით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფსიქოტროპული მედიკამენტებით უზრუნველყოფის გარდა დამატებით საჭიროებენ ძვირად ღირებული მედიკამენტებით მკურნალობას.ბენფიციართა შერჩევა ხდება სოციალური კომისიის მიერ ფსიქონარკოლოგიური დისპანსერიდან ყოველკვარტალურად მოწოდებული მონაცემების გათვალისწინებით .

ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, სამედიცინო ფ N100 და პირადი საბანკო ანგარიში. საჭიროების შემთხვევაში ოჯახის წევრის ან მეურვეობის შესაბამისი დოკუმენტაცია .

პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ან მეურვეზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 50 ლარის ჩარიცხვას და გათვლილია 40 ბენეფიციარზე .

ა.დ) თირკმლის დიალიზზე მყოფი პაციენტების საჭირო ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 04).

პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც ჩართული არიან თირკმლის დიალიზის სახელმწიფო პროგრამაში და სისტემატურად უწევთ გადაადგილება სხვა ქალაქში. პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას.

ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს პირადობის მოწმობის ასლი, სახელმწიფო პროგრამაში ჩართვის დამადასტურებელი ფ N 100 და პირადი საბანკო ანგარიში

აღნიშნულ დოკუმენტაციას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია

ა.ე) მუდმივად ან სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დაავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 01 05).

პროგრამის ბენეფიციარები არიან პაციენტები, რომლებიც დაავადებული არიან იშვიათი დაავადებებით (გაფანტული სკლეროზი , სირინგომიელია, მოტონეირონთა დაავადება, ლეიკემია(ლეიკოზი), სისტემური სკლეროდერმი, პარკინსონის დაავადება, კუნთთა პროგრესული დისტროფია, აუტოიმუნური ჰეპატიტი და მუდმივად ან სისტემატურად საჭიროებენ ძვირადღირებული მედიკამენტების მიღებას.

ბენეფიციარმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დაავადების დამადასტურებელი მიმდინარე ან წინა წლის ფ N 100, საჭირო მედიკამენტის მუდმივად, ან სისტემატურად საჭიროების მითითებით. პირადობის მოწმობის ასლი და პირადი საბანკო ანგარიში.

პროგრამა ითვალისწინებს: თითოეულ ბენეფიციარზე ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 100 ლარის ჩარიცხვას, გარდა პარკინსონით დაავადებულებისა, პარკინსონით დაავადებულ პაციენტებზე კი ყოველთვიურად უნაღდო ანგარიშსწორებით პირად ანგარიშზე 50 ლარის ჩარიცხვას.

აღნიშნულ დოკუმენტაციას განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია.
ა.ვ) აუტიზმის სპექტრის აშლილობის (ასა) მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა(პროგრამული კოდი 06 01 06)

პროგრამის ბენეფიციარები არიან ასა-ს მქონე 2-დან 15 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლთა [1]მშობლები წარმოადგენენ ნეიროგანვითარების ცენტრის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის „ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის“, რეგისტრირებული კავშირი „საქართველოს ბავშვები“, მენტალური ჯანმრთელობის ცენტრისა და სხვა ლიცენზირებული დაწესებულებების ჩასატარებელი ღონისძიებების შესაბამის ხარჯთაღრიცხვას, დიაგნოზის დამადასტურებელ ფ N 100, ბენეფიციარის დაბადების მოწმობის ასლს და ერთ-ერთი მშობლის პირადობის ასლს.
აღნიშნული დოკუმენტების სოციალური კომისიის მიერ განხილვის საფუძველზე, წელიწადში ერთხელ, (ფინანსური შესაძლებლობის შემთხვევაში ორჯერ) მუნიციპალიტეტის მერის მიერ გაიცემა საგარანტიო წერილი ჩასატარებელი ღონისძიებების ღირებულების 70%- ის ოდენობის დაფინანსებაზე არაუმეტეს 1000 ლარისა, რომელიც დაფინანსდება მომსახურების მიმწოდებლის მიერ გაწეულ მომსახურებაზე წარმოდგენილი დოკუმენტაციის შემდეგ.

ა.ზ) საქართველო “C” ჰეპატიტის გარეშე სახ. პროგრამით დიაგნოსტიკის კომპონენტით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 01 07)

პროგრამის ბენეფიციარები არიან საქართველო “C” ჰეპატიტის გარეშე სახ. პროგრამაში ჩართული პაციენტები, რომლებსაც, შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, დაუფინანსდებათ ჩატარებული კვლევების საფასურის ნაწილი.
ა.თ) სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა საჭირო მაღალტექნოლოგიური კვლევების თანადაფინანსება (ორგანიზაციული კოდი 06 01 08)

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების ერთიან ბაზაში 100000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ პირებს, რომლებიც სოციალურ კომისიაზე წარმოადგენენ ჩასატარებელი კვლევის კალკულაციას და სარეიტინგო ქულის დამადასტურებელ დოკუმენტს, რის საფუძველზეც გაიცემა საგარანტიო წერილი შემდეგი ოდენობის თანხებზე:

ა)ხერხემლის და ზურგის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია - 100 ლარი;

ბ) თავის ტვინის კომპიუტერული ტომოგრაფია - 150 ლარი;

გ) კორონაროგრაფია - 300 ლარი.

ბ)მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02).

ბ.ა) მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 01).
პროგრამა მოქალაქეებზე (ოჯახებზე), რომლებიც ვერ ფინანსდებიან სხვა ჯანდაცვითი და სოციალური პროგრამებით და აქვთ მძიმე ყოფითი პრობლემები, რომელიც დადასტურებულია ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის მიერ, წელიწადში ერთხელ, ითვალისწინებს ფულადი დახმარების გაწევას 50 -დან 200-ლარამდე, მუნიციპალიტეტის შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულისათვის მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალურ-ადმინისტრაციული აქტით დადგენილი თვიური ლიმიტის ფარგლებში.

თანხის ოდენობას განსაზღვრავს და დახმარების გაწევაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი.

ბ.ბ) ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება(პროგრამული კოდი 06 02 02).
პროგრამა ითვალისწინებს ბიოლოგიური დედის რიგით პირველ და მეორე ცოცხლად შობილ შვილზე ერთჯერად ფულად დახმარებას 200 ლარის ოდენობით (ტყუპების შეძენისას თანხის გაორმაგებით და ა.შ.)

წარმოდგენილ უნდა იქნეს ახალშობილის დაბადებისა და ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ინფორმაცია ოჯახის შემადგენლობის შესახებ, დადასტურებული ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის მიერ.

დაფინანსება მოხდება სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით უნაღდო ანგარიშსწორებით, განმცხადებლის პირად ანგარიშზე თანხის ჩარიცხვით, ბავშვის დაბადებიდან არაუგვიანეს 6 თვისა;

ბ.გ) საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 03).
პროგრამით მოსარგებლენი არიან საზოგადოების ღვაწლმოსილი და დამსახურებული ადამიანები (ომისა და შრომის ვეტერანები, პენსიონერები, 100 წელს გადაცილებული პირები და ა.შ.), რომელთაც საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით გაეწევათ ერთჯერადი ფულადი და/ან მატერიალური დახმარება.

სოციალური ჯგუფების შერჩევა და ბენეფიციარზე გასაცემი თანხის ოდენობა და/ან მატერიალური დახმარების ჩამონათვალი განისაზღვრება მუნიციპალიტეტის მერის მიერ.
ბენეფიციართა სიები მიიღება სოციალური მომსახურების სააგენტოდან და/ან ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებიდან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე დახმარების გაცემაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია;

ბ.დ) მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვან შვილთა ყოველთვიური ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 04).
პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ ოთხი ან მეტი შვილი და წარმოადგენენ შვილების დაბადების მოწმობის ასლებს, მშობლების ქორწინების მოწმების ასლს – ასეთის არსებობის შემთხვევაში, ერთ-ერთი მშობლის პირადობის მოწმობის ასლს და პირად საბანკო ანგარიშის ნომერს.

მრავალ შვილიან ოჯახებზე, რომელთა სარეიტინგო ქულა სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000 ქულაზე დაბალია და 2019 წლის 1 იანვრიდან თითოეულ არასრულწლოვანზე სახელმწიფოს მიერ დაენიშნათ 50 ლარი, ყოველთვიურად გაიცეს 30 ლარი, ხოლო ოჯახებზე 100000-ზე მეტი სარეიტინგო ქულით თითოეულ არასრულწლოვან შვილზე ყოველთვიურად გაიცეს დახმარება 50 ლარის ოდენობით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვის საფუძველზე დახმარების დანიშვნაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია.

ბ.ე) შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 02 05)

პროგრამით სარგებლობა შეუძლიათ სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში 100000-ზე დაბალი სარეიტინგო ქულით დარეგისტრირებულ პირებს, რომლებიც არ არიან ასაკით პენსიონერები და წარმოადგენენ სსე (სამედიცინო სოციალური ექსპერტიზა) შემოწმების აქტის ამონაწერს სტატუსით – მკვეთრად გამოხატული (I ჯგუფი) და არიან სახლს (ეტლით მოსარგებლე), ან საწოლს მიჯაჭვული და საჭიროებენ მუდმივ მომვლელს, ასევე ჯამრთელობის ფN100 მუდმივად მოვლის

საჭიროების მითითებით, პირადობის მოწმობის ასლს, სარეიტინგო ქულის დამადასტურებელ დოკუმენტს, პირად საბანკო ანგარიშს. საჭიროების შემთხვევაში ბენეფიციარის უფლებამოსილი პირის პირადობის მოწმობის ასლს და საბანკო ანგარიშს.

დაფინანსება,ყოველთვიურად თითოეული ბენეფიციარის პირად ანგარიშზე 100 ლარის ოდენობის თანხის ჩარიცხვით, მოხდება სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით ჩამოთვლილი დოკუმენტების განხილვის შემდეგ.

ბ.ვ) დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 06)

პროგრამის ბენეფიციარები არიან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვები, რომლებიც სოციალური მომსახურების სააგენტოდან წარმოადგენენ სტასუსის დამადასტურებელ დოკუმენტს, დაბადების მოწმობის ასლს, პირადობის მოწმობის ასლს, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მათზე მეურვეობის დამადასტურებელ დოკუმენტს, მეურვის პირადობის მოწმობის ასლს და პირად ანგარიშს.

პროგრამა ითვალისწინებს თითოეულ დედ-მამით ობოლ ბავშვზე ყოველთვიურად 100 ლარის ოდენობის დახმარების მეურვის პირად ანგარიშზე ჩარიცხვას.

აღნიშნული დოკუმენტების განხილვის შემდეგ დახმარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია;

ბ.ზ) საომარი მოქმედებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 07).

პროგრამა მოიცავს საომარი მოქმედებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს (ძალოვან სტრუქტურებში) დაღუპულთა ოჯახებზე დახმარების გაწევას საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით. დახმარება გაიცემა დაღუპულთა ოჯახის წევრებზე. პროგრამით მოსარგებლე ოჯახებზე დახმარების გაწევის დროსა და გასაცემი თანხის ოდენობაზე გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის მერი. ბენეფიციართა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განიხილავის შემდეგ დახმარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია.

სოციალური მომსახურების სააგენტოდან წარმოდგენილი საომარი მოქმედებებისა და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის გარდა წარმოდგენილი უნდა იქნეს ოჯახის ერთ-ერთი წევრის პირადობის მოწმობის ასლი და პირადი საბანკო ანგარიში. ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების შუამდგომლობა;

ბ.თ) ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა (პროგრამული კოდი 06 02 08).

ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული შენობა-ნაგებობებიდან მიზნობრივად გამოსახლებულ პირთა დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფა, კერძო სექტორში მათთვის საცხოვრებელი ფართების დაქირავებით;

ბ.ი) ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარება (პროგრამული კოდი 06 02 09).

ქვეპროგრამის მიზანია ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარებასთან დაკავშირებული ხარჯების თანადაფინანსება;

ბ.კ) სტაციონალური მკურნალობის შემდგომ კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა (ორგანიზაციული კოდი 06 02 10)

პროგრამა ითვალისწინებს არასაპენსიო ასაკის სტაციონალური მკურნალობის შემდგომ კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების მხარდაჭერას, რომლებსაც მკურნალობა უგრძელდებათ ბინაზე და ხანგრძლივად საჭიროებენ მეთვალყურეობასა და ზრუნვას.

წარმოდგენილი სამედიცინო ფორმა №100 და შესაბამისი სარეიტინგო ქულის დამადასტურებელი დოკუმენტის საფუძველზე სოციალური კომისიის გადაწყვეტილებით ამ კატეგორიის ოჯახზე ყოველთვიურად გაიცემა 100 ლარი;

გ) სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 06 03).

პროგრამა ითვალისწინებს სტიქიური მოვლენების (ხანძარი, მეწყერი, ქარბუქი, ღვარცოფი, კლდე ზვავი, დენადი გრუნტი) შედეგად დაზარალებული ოჯახების ფულად დახმარებას.

პროგრამით სარგებლობისათვის სტიქიით დაზარალებულმა პირმა ხანძრით დაზიანების შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს სახანძრო-სამაშველო სამსახურის დასკვნა, სტიქიის ამსახველი ფოტომასალა, სხვა შემთხვევებში სათანადო საექსპერტო ან/და გეოლოგიური დასკვნა საცხოვრებელი სახლის მდგომარეობის შესახებ შესაბამისი ფოტომასალით. შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის შუამდგომლობა, დაზარალებული პირის პირადობის მოწმობის ასლი და პირადი საბანკო ანგარიში.

აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ ხანძრით დაზარალებულ ოჯახზე ფულადი დახმარების ოდენობას 3000 ლარამდე განსაზღვრავს სოციალური კომისია, ხოლო სხვა დანარჩენ შემთხვევაში – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრის 2013 წლის 13 ნოემბრის N779 ბრძანებით დადგენილი-„ოჯახის დაზარალების კრიტერიუმების“ გათვალისწინებით – 1000(ათასი)-დან 10 000 (ათიათასი) ლარამდე.

დახმარება გაეწევა მიმდინარე წელს დაზარალებულ ოჯახს.

დ) სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 04)

პროგრამა ითვალისწინებს არსებული კანონმდებლობით დადგენილი გარდაცვლილი დიდი სამამულო ომის მონაწილეების, მასთან გათანაბრებული პირების, ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ ვეტერანთა და იძულებით გაადადგილებულ პირთა სარიტუალო ხარჯების ნაწილობრივ დაფინანსებას.

გარდაცვლილ იძულებით გადაადგილებულ პირთა ოჯახებზე გაიცემა 100 ლარის ოდენობის ფულადი დახმარება. სხვა ზემოთ აღნიშნულ შემთხვევებში – 250 ლარი.

გარდაცვლილის ოჯახისა წევრმა უნდა წარმოადგინოს ცნობა გარდაცვალების შესახებ. გარდაცვლილის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. გარდაცვლილთან ნათესაური კავშირის დამადასტურებელი დოკუმენტი. გარდაცვლილის ოჯახის წევრის პირადობის მოწმობის ასლი და პირადი საბანკო ანგარიში.

აღნიშნული დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ დახმარების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სოციალური კომისია;

ე) სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა (უფასო სასადილო) (პროგრამული კოდი 06 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი მოსახლეობისა და სხვა უმწეო მდგომარეობაში მყოფი 222 ბენეფიციარის ყოველდღიურად კვებით უზრუნველყოფა, მათ შორის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოხუცების კვებით უზრუნველყოფა;

ე.ა)მოსალოდნელი შუალედური შედეგები:

ყოველდღიურად ერთჯერადი კვებით უზრუნველყოფილია სოციალურად დაუცველი 224 ბენეფიციარი.

ე.ბ) შედეგების შეფასების ინდიკატორები:

უმწეოთა უფასო სასადილოთი სარგებლობის საჭიროების მქონე მოქალაქეთა რაოდენობა და მათი მოთხოვნების დაკმაყოფილების მაჩვენებელი.

ვ) ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისთვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება (ორგანიზაციული კოდი 06 06)

პროგრამა ითვალისწინებს დახმარებას იმ ოჯახებისთვის, რომლებიც ცხოვრობენ ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში და არ არიან დარეგისტრირებულნი ბუნებრივი აირის აბონენტად, თითოეულ ოჯახზე 200 ლარის ოდენობით;

ზ) ა(ა)იპ „კეთილი სამარიტელი“ – 2014 თანადაფინანსება (ორგანიზაციული კოდი 06 07)

პროგრამა ითვალისწინებს შშმ პირთა სარეაბილიტაციო ცენტრის თანადაფინანსებას.

თავი VI

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 15. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თანდართული რედაქციით:

ორგ. კოდი	დასახელება	2017 წლის ფაქტი	2018 წლის გეგმა	2019 წლის გეგმა		
				სულ	მათ შორის	
					სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
	წალენჯიხის მუნიციპალიტეტი	10,613.0	13,952.2	16,752.6	7,998.1	8,754.5
	მომუშავეთა რიცხოვნობა	145.0	159.0	161.0	0.0	161.0
	ხარჯები	7,676.0	8,048.3	9,871.5	1,814.6	8,056.9
	შრომის ანაზღაურება	1,616.8	1,962.0	2,622.9	632.9	1,990.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,788.4	5,658.8	6,751.1	6,183.6	567.5
	ვალდებულებების კლება	148.6	245.1	130.1	0.0	130.1
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	2,324.5	3,273.9	3,008.3	0.1	3,008.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	138.0	152.0	154.0	0.0	154.0
	ხარჯები	2,176.8	3,059.5	2,848.2	0.1	2,848.1
	შრომის ანაზღაურება	1,543.2	1,880.0	1,990.0	0.0	1,990.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	104.3	40.6	30.0	0.0	30.0
	ვალდებულებების კლება	43.5	173.8	130.1	0.0	130.1
01 01	მუნიციპალიტეტის საკრებულო	580.5	664.8	705.0	0.0	705.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30.0	30.0	32.0		32.0
	ხარჯები	579.4	664.8	705.0	0.0	705.0
	შრომის ანაზღაურება	382.7	460.0	470.0	0.0	470.0
	ვალდებულებების კლება	1.1	0.0	0.0	0.0	0.0

01 02	მუნიციპალიტეტის მერია	1,676.5	2,014.1	2,011.3	0.1	2,011.2
	მომუშავეთა რიცხოვნობა	108.0	122.0	122.0		122.0
	ხარჯები	1,597.4	1,894.2	1,981.3	0.1	1,981.2
	შრომის ანაზღაურება	1,160.5	1,420.0	1,520.0	0.0	1,520.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	36.8	4.8	30.0	0.0	30.0
	ვალდებულებების კლება	42.4	115.1	0.0	0.0	0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	18.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	0.0	18.0	30.0	0.0	30.0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების და სასამართლოს გადაწყვეტილებათა აღსრულების თანხები	0.0	411.2	262.0	0.0	262.0
	ხარჯები	0.0	352.5	131.9	0.0	131.9
	ვალდებულებების კლება	0.0	58.7	130.1	0.0	130.1
01 04 01	სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა	0.0	233.6	1.0	0.0	1.0
	ხარჯები	0.0	233.6	1.0	0.0	1.0
01 04 02	მგფ-ისა და სხვა ვალდებულებების დაფარვა	0.0	177.6	261.0	0.0	261.0
	ხარჯები	0.0	118.9	130.9	0.0	130.9
	ვალდებულებების კლება	0.0	58.7	130.1	0.0	130.1
01 05	სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და პროექტზე ზედამხედველობის ღირებულება	67.5	165.8	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	0.0	130.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	67.5	35.8	0.0	0.0	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	96.0	100.6	105.0	100.0	5.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7.0	7.0	7.0	0.0	7.0
	ხარჯები	94.9	100.6	102.0	100.0	2.0
	შრომის ანაზღაურება	73.6	82.0	78.0	78.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	0.0	3.0	0.0	3.0

02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	96.0	100.6	105.0	100.0	5.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	7.0	7.0	7.0		7.0
	ხარჯები	94.9	100.6	102.0	100.0	2.0
	შრომის ანაზღაურება	73.6	82.0	78.0	78.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.1	0.0	3.0	0.0	3.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	4,442.2	5,870.1	7,516.1	5,572.6	1,943.5
	ხარჯები	2,185.3	1,710.7	2,183.9	774.9	1,409.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,156.3	4,088.0	5,332.2	4,797.7	534.5
	ვალდებულებების კლება	100.6	71.3	0.0	0.0	0.0
03 01	გზების და ხიდების მშენებლობა-რეაბილიტაცია მათი მოვლა-შენახვა	1,743.3	1,938.5	3,520.9	3,500.9	20.0
	ხარჯები	131.6	75.1	20.0	0.0	20.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,533.1	1,792.1	3,500.9	3,500.9	0.0
	ვალდებულებების კლება	78.6	71.3	0.0	0.0	0.0
03 02	კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	1,768.8	1,885.5	1,592.4	213.4	1,379.0
	ხარჯები	1,400.4	1,147.2	1,379.0	0.0	1,379.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	349.3	738.3	213.4	213.4	0.0
	ვალდებულებების კლება	19.1	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 01	საცხოვრებელი კორპუსების გადახურვა, ფასადების შეღებვა და ტერიტორიების კეთილმოწყობა	16.9	102.4	28.8	28.8	0.0
	ხარჯები	16.9	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	102.4	28.8	28.8	0.0
03 02 02	გარე განათების მოწყობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	168.8	508.9	274.4	5.4	269.0
	ხარჯები	168.8	227.2	269.0	0.0	269.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	281.7	5.4	5.4	0.0

03 02 03	დასუფთავების ღონისძიებები დაფინანსება	949.6	920.0	1,090.0	0.0	1,090.0
	ხარჯები	949.6	920.0	1,090.0	0.0	1,090.0
03 02 03 01	ა(ა)იპ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური	949.6	630.0	750.0	0.0	750.0
	ხარჯები	949.6	630.0	750.0	0.0	750.0
03 02 03 02	ა(ა)იპ ჯვარის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური	266.5	290.0	340.0	0.0	340.0
	ხარჯები	265.1	290.0	340.0	0.0	340.0
	ვალდებულებების კლება	1.4	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 04	წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	367.0	354.2	179.2	179.2	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	349.3	354.2	179.2	179.2	0.0
	ვალდებულებების კლება	17.7	0.0	0.0	0.0	0.0
03 02 05	ტურიზმის ხელშეწყობის პროგრამა	0.0	0.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	0.0	0.0	20.0	0.0	20.0
03 03	სასოფლო-სამეურნო მიწის საკადასტრო აზომვითი სამუშაოები	3.8	6.1	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	3.8	6.1	10.0	0.0	10.0
03 05	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	75.7	0.0	644.0	644.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	72.8	0.0	644.0	644.0	0.0
	ვალდებულებების კლება	2.9	0.0	0.0	0.0	0.0
03 06	სამუშაოების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენის და პროექტზე ზედამხედველობის ღირებულება	0.0	0.0	290.0	0.0	290.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	290.0	0.0	290.0
03 07	სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინანსება	775.4	1,700.0	659.4	659.4	0.0
	ხარჯები	649.5	482.3	220.0	220.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	125.9	1,217.7	439.4	439.4	0.0
	რეგიონალური განვითარების					

03 08	ფონდის სახსრებით განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება	75.2	340.0	244.5	0.0	244.5
	არაფინანსური აქტივების ზრდა	75.2	340.0	244.5	0.0	244.5
03 09	საგანგებო სიტუაციების კოორდინაციის და გადაუდებელი დახმარების ცენტრის ოფისების მშენებლობა	0,0	0,0	554.9	554.9	0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0	554.9	554.9	0
04 00	განათლება	1,566.2	2,383.2	3,583.5	1,893.5	1,690.0
	ხარჯები	1,284.0	1,313.1	2,494.4	804.4	1,690.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	279.4	1,070.1	1,089.1	1,089.1	0.0
	ვალდებულებების კლება	2.8	0.0	0.0	0.0	0.0
04 01	სკოლამდელი განათლების დაფინანსება	1,258.3	1,283.1	1,650.0	0.0	1,650.0
	ხარჯები	1,254.6	1,283.1	1,650.0	0.0	1,650.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.9	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	2.8	0.0	0.0	0.0	0.0
04 02	საჯარო სკოლების დაფინანსება	29.4	30.0	40.0	0.0	40.0
	ხარჯები	29.4	30.0	40.0	0.0	40.0
04 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებს მშენებლობა და რეაბილიტაცია	278.5	1,070.1	569.1	569.1	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	278.5	1,070.1	569.1	569.1	0.0
04 04	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	0.0	0.0	804.4	804.4	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	804.4	804.4	0.0
04 05	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსება	0.0	0.0	520.0	520.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	520.0	520.0	0.0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები	1,168.3	1,410.0	1,396.8	296.8	1,100.0

	ხარჯები	920.8	950.0	1,100.0	0.0	1,100.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	245.9	460.0	296.8	296.8	0.0
	ვალდებულებების კლება	1.6	0.0	0.0	0.0	0.0
05 01	სპორტის განვითარების ხელშეწყობა	389.0	395.0	510.0	0.0	510.0
	ხარჯები	386.7	395.0	510.0	0.0	510.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.3	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 01	სპორტული ღონისძიებების დაფინანსება	220.0	210.0	250.0	0.0	250.0
	ხარჯები	220.0	210.0	250.0	0.0	250.0
05 01 02	ფეხბურთის განვითარების ცენტრი	169.0	100.4	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	166.7	100.4	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.3	0.0	0.0	0.0	0.0
05 01 03	ა(ა)იპ „წალენჯიხის ფეხბურთის ცენტრი – საფეხბურთო კლუბი სქური“	0.0	84.6	260.0	0.0	260.0
	ხარჯები	0.0	84.6	260.0	0.0	260.0
05 02	კულტურის განვითარების ხელშეწყობა	519.3	525.0	550.0	0.0	550.0
	ხარჯები	511.6	525.0	550.0	0.0	550.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6.6	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	1.1	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 01	კულტურის ცენტრი	398.7	400.0	400.0	0.0	400.0
	ხარჯები	393.2	400.0	400.0	0.0	400.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4.4	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	1.1	0.0	0.0	0.0	0.0
05 02 02	მუსიკალური სკოლის დაფინანსება	120.6	125.0	150.0	0.0	150.0
	ხარჯები	118.4	125.0	150.0	0.0	150.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2.2	0.0	0.0	0.0	0.0
05 03	ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსება	0.5	0.0	0.0	0.0	0.0

	ვალდებულებების კლება	0.5	0.0	0.0	0.0	0.0
05 04	რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა	22.5	50.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	22.5	30.0	30.0	0.0	30.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	20.0	0.0	0.0	0.0
05 05	სპორტული და კულტურული ობიექტების მშენებლობა და რეაბილიტაცია	237.0	440.0	296.8	296.8	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	237.0	440.0	296.8	296.8	0.0
05 06	გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	0.0	0.0	10.0	0.0	10.0
05 06 01	გენდერული საბჭოს გაძლიერება	0.0	0.0	3.1	0.0	3.1
	ხარჯები	0.0	0.0	3.1	0.0	3.1
05 06 02	ოჯახში ძალადობისგან დაცვის და ძალადობის პრევენცია	0.0	0.0	1.9	0.0	1.9
	ხარჯები	0,0	0,0	1.9	0.0	1.9
05 06 03	სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გენდერული განათლებისა და ოჯახში ძალადობაზე ცნობიერების ამაღლება	0.0	0.0	2.0	0.0	2.0
	ხარჯები	0.0	0.0	2.0	0.0	2.0
05 06 04	ქალთა მოწყვლადი ჯგუფების გაძლიერების და ეკონომიკური აქტიურობის ხელშეწყობა	0.0	0.0	3,0	0.0	3,0
	ხარჯები	0.0	0.0	3,0	0.0	3,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	1,015.7	914.4	1,143.0	135.2	1,007.8
	ხარჯები	1,014.2	914.4	1,143.0	135.2	1,007.8
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.4	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.1	0.0	0.0	0.0	0.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	366.7	265.0	341.0	83.0	258.0

	ხარჯები	366.7	265.0	341.0	83.0	258.0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	104.4	119.0	115.0	83.0	32.0
	ხარჯები	104.4	119.0	115.0	83.0	32.0
06 01 02	ჯანმრთელობის ცვლილებით გამოწვეული საყოველთაო დაზღვევით დაფინანსებული პაციენტების სტაციონარული მომსახურების თანადაფინანსება	262.3	80.0	102.0	0.0	102.0
	ხარჯები	262.3	80.0	102.0	0.0	102.0
06 01 03	ფსიქიკურ ავადმყოფთა ფსიქოტროპიული მედიკამენტებით უზრუნველყოფის დაფინანსება	0.0	24.0	24.0	0.0	24.0
	ხარჯები	0.0	24.0	24.0	0.0	24.0
06 01 04	თირკმლის დიალეზზე მყოფი პაციენტების ტრანსპორტირების ფინანსური უზრუნველყოფა	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
	ხარჯები	0.0	20.0	20.0	0.0	20.0
06 01 05	მუდმივად ან/და სისტემატურად მკურნალობის საჭიროების მქონე იშვიათი დააავადებებით შეპყრობილ პირთა ფინანსური მხარდაჭერა	0.0	12.0	25.0	0.0	25.0
	ხარჯები	0.0	12.0	25.0	0.0	25.0
06 01 06	აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა რეაბილიტაციის მხარდაჭერა	0.0	10.0	5.0	0.0	5.0
	ხარჯები	0.0	10.0	5.0	0.0	5.0
06 01 07	„საქართველო C ჰეპატიტის გარეშე“ სახ. პროგრამით გათვალისწინებული კვლევების თანადაფინანსება	0.0	0.0	30.0	0.0	30.0
	ხარჯები	0.0	0.0	30.0	0.0	30.0
06 01 08	სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა საჭირო მაღალტექნოლოგიური კვლევების თანადაფინანსება	0.0	0.0	20.0	0.0	20.0

	ხარჯები	0.0	0.0	20.0	0.0	20.0
06 02	მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა	454.4	408.4	428.8	0.0	428.8
	ხარჯები	454.4	408.4	428.8	0.0	428.8
06 02 01	მოქალაქეთა ერთჯერადი ფულადი დახმარებები	155.9	46.4	50.0	0.0	50.0
	ხარჯები	155.9	46.4	50.0	0.0	50.0
06 02 02	ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება	0.0	20.0	30.8	0.0	30.8
	ხარჯები	0.0	20.0	30.8	0.0	30.8
06 02 03	საზეიმო და ღირსშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით ფულადი ან არაფულადი (მატერიალური) დახმარება	0.0	15.0	25.0	0.0	25.0
	ხარჯები	0.0	15.0	25.0	0.0	25.0
06 02 04	მრავალშვილიანი ოჯახების არასრულწლოვანთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	280.5	298.0	270.0	0.0	270.0
	ხარჯები	280.5	298.0	270.0	0.0	270.0
06 02 05	შშმ პირთა და მოვლის საჭიროების მქონე ავადმყოფთა ფინანსური მხარდაჭერა	0.0	10.0	18.0	0.0	18.0
	ხარჯები	0.0	10.0	18.0	0.0	18.0
06 02 06	დედ-მამით ობოლ ბავშვთა ყოველთვიური ფულადი დახმარება	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
06 02 07	საომარი მოქმედებების და სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახების ფულადი დახმარება	18.0	1.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	18.0	1.0	10.0	0.0	10.0
06 02 08	ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა ხელშეწყობის პროგრამა	0.0	8.0	10.0	0.0	10.0

	ხარჯები	0.0	8.0	10.0	0.0	10.0
06 02 09	ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვის ღონისძიებების გატარება	0.0	0.0	1.0	0.0	1.0
	ხარჯები	0.0	0.0	1.0	0.0	1.0
06 02 10	სტაციონარული მკურნალობის შემდგომ ბინაზე კომატოზურ მდგომარეობაში მყოფი პაციენტების ოჯახების ყოველთვიური ფინანსური მხარდაჭერა	0.0	0.0	4.0	0.0	4.0
	ხარჯები	0.0	0.0	4.0	0.0	4.0
06 03	სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახების ფინანსური მხარდაჭერა	24.8	16.6	85.0	0.0	85.0
	ხარჯები	24.8	16.6	85.0	0.0	85.0
06 04	სარიტუალო მომსახურება	6.1	10.0	10.0	0.0	10.0
	ხარჯები	6.1	10.0	10.0	0.0	10.0
06 05	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის კვებით უზრუნველყოფა	163.7	214.4	220.0	0.0	220.0
	ხარჯები	162.2	214.4	220.0	0.0	220.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1.4	0.0	0.0	0.0	0.0
	ვალდებულებების კლება	0.1	0.0	0.0	0.0	0.0
06 06	ოკუპირებულ ტერიტორიებთან გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები ოჯახებისათვის ზამთრის პერიოდში გათბობით უზრუნველყოფის მიზნით ფულადი დახმარება	0.0	0.0	52.2	52.2	0.0
	ხარჯები	0.0	0.0	52.2	52.2	0.0
06 07	ა(ა)იპ „კეთილი სამარიტელი“-2014 თანადაფინანსება	0.0	0.0	6.0	0.0	6.0
	ხარჯები	0.0	0.0	6.0	0.0	6.0

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 16.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების დაფინანსება გაგრძელდეს სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშიდან საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ფინანსების მართვის საინფორმაციო (ელექტრონული) სისტემის მეშვეობით.

მუხლი 17.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის ასიგნებების გადანაწილება და ცვლილებები პროგრამულ კლასიფიკაციაში განხორციელდეს დამტკიცებული წლიური ასიგნებების ფარგლებში საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის და წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის თანახმად.

მუხლი 18.

2019 წლის განმავლობაში წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მოსამსახურეებზე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ფულადი ჯილდო, დანამატი და სხვა ანაზღაურება გაიცეს მათთვის შესაბამისი ბიუჯეტებით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 19.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 20

1. წალენჯიხის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი თვის დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში საფინანსო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21.

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება

მუხლი 22.

მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამული კოდი 01 04-დან დაფინანსდება წინა წლების დავალიანებები, სასამართლოს გადაწყვეტილებით დაკისრებული თანხები, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით იძულებით ჩამოჭრილი თანხები და მუნიციპალიტეტის მიერ აღიარებული ვალდებულებები.

წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2019 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს.

მუხლი 23.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახურმა მოამზადოს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 24.

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი – 1507,4 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 83,0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის – 100,0 ათასი ლარი.

დ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის – 804.4 ათასი ლარი;

ე) საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოების შესასრულებლად – 520.0 ათასი ლარი.

2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 25.

2019 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის მოცულობა განისაზღვროს 30,0 ათასი ლარის ოდენობით, სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.“

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია 2019 წლის 31 მაისიდან.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **თემურ ღვინჯილია**